პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 234 (5035) | სამშაბათი, 12 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ფიზიოლოგთა VI სრულიად-საკავშირო ყრილობა (მოწინავე)
სსრ კავშირის ცაკის დადგენილება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის დადგენილება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ცაკის დადგენილება. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ (1-ლი, მე-2 გვ.)
მ. ი. კალინინი — მუშათა კლასი წინათ და ახლა (მე-3 გვერდი)
მუშათა კლასი, რომლის მსგავსს ისტორია არ იცნობს („პრავდის“ მოწინავე მე-2 გვ.)
პროფ. ბერიტაშვილი — ფიზიოლოგთა ყრილობის ამოცანები (მე-3 გვ.)
ალ. კობახიძე — ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ (მე-4 გვ.)
საქართველოს სსრ ცაკის დადგენილება სს კოდექსის მე-28 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-2 გვ.)
იტალიის მთავრობის საპასუხო ნოტა ინგლის-საფრანგეთის ნოტაზე (მე-2 გვ.)

ფიზიოლოგთა VI სრულიად-საკავშირო ყრილობა

დღეს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქ — თბილისში გაიხსნება ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა მეექვსე სრულიად-საკავშირო ყრილობა.

ყრილობას დაესწრება სოციალისტური ქვეყნის აყვავებული სამეცნიერო ფრონტის 500-ზე მეტი გამოჩენილი წარმომადგენელი. ფიზიოლოგიური მეცნიერების წარმატებანი საბჭოთა კავშირსა და, კერძოდ, საქართველოში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე უაღრესად თვალსაჩინოა. ეს წარმატებანი უდიდეს ინტერესს და აღტაცებას იწვევენ დედამიწის ხუთ მეექვსედ ნაწილზე დევნილი და იმპერიალიზმის სულისშემხუთველ არტახებში მომწყვდეული მეცნიერული აზრის საუკეთესო წარმომადგენლებში.

ჩვენში არაჩვეულებრივად გაიზარდა ფიზიოლოგიურ დაწესებულებათა რიცხვი. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღიზარდნენ ახალგაზრდა კადრები. თუ ძველ რუსეთში ფიზიოლოგების რიცხვი ათეულებს არ აღემატებოდა, ახლა ჩვენს ბედნიერ სამშობლოში, სადაც ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის ყოველგვარი პირობები არის შექმნილი, მოწინავე, გამოჩენილ ფიზიოლოგებს ათასობით ითვლიან, ხოლო საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოებაში 60-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი ირიცხება.

მეფისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაში ყოველგვარი თავისუფალი მეცნიერული აზრი და შემოქმედება სასტიკად იდევნებოდა. დევნილი იყო ფიზიოლოგიაც. ამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ მეფის რუსეთში ფიზიოლოგთა ერთი ყრილობაც არ მოწვეულა, არც ფიზიოლოგთა შეკავშირება არსებობდა.

ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა კორიფეებს — რუსეთის ფიზიოლოგიის მამამთავარ ი. სეჩენოვს, აკად. ი. პავლოვს და სხვებს ცარიზმი გასაქანს არ აძლევდა.

მსოფლიო მეცნიერის აკად. ი. პავლოვის სამეცნიერო მოღვაწეობასა და შემოქმედებას ფართო გასაქანი მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიეცა. საბჭოთა ხელისუფლებამ აკად. ი. პავლოვისათვის ლენინგრადის მახლობლად სოფ. კოლტუშში სპეციალური ბიოლოგიური სადგური ააგო. 1935 წელს ლენინგრადსა და მოსკოვში ჩატარდა ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესი, რომლის დელეგატები განცვიფრებული დარჩნენ იმ უდიდესი ყურადღებითა და მზრუნველობით, რასაც ჩვენში მეცნიერებისა და მისი მუშაკების მიმართ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იჩენენ.

სამეცნიერო მუშაობის დარგში ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის ნათელი და გარკვეული ფორმულირება მოგვცა ხალხთა საყვარელმა ბელადმა — ამხანაგმა სტალინმა ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ისეთი შემთხვევები, როგორიც ამერიკაში იყო, სადაც ამასწინათ მსჯავრი დასდეს დარვინისტებს, ჩვენში შეუძლებელია იმიტომ, რომ პარტია ატარებს მეცნიერების ყოველნაირად დაცვის პოლიტიკას“.

ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგია, რომ ჩვენში მეცნიერებას ყველა პირობები აქვს მიაღწიოს სრულ აყვავებას, ემსახუროს უკლასო სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა საამურ და ბედნიერ ცხოვრებას.

ის ფაქტი, რომ ფიზიოლოგთა მე-6 საკავშირო ყრილობა მოწვეულია თბილისში, სადაც სამეცნიერო მუშაობისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი, ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმას, თუ რა უდიდესი ნაყოფი გამოიღო საქართველოს ბოლშევიკთა ყურადღებამ და მზრუნველობამ მეცნიერებისადმი.

დიდი და მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას ფიზიოლოგთა VI ყრილობის წინაშე. ამ ყრილობამ უნდა შეაჯამოს იმ კვლევითი მუშაობის შედეგები, რომელიც ჩატარებულ იქნა ფიზიოლოგიურ დისციპლინათა დარგში V ყრილობის შემდეგ, ე. ი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, უნდა გამოავლინოს ამ მუშაობის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, აღნიშნოს მთავარი ნაკლოვანებანი და დასახოს გზები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ფიზიოლოგია, ბიოქიმია და ფარმაკოლოგია — მეცნიერების ისეთი დარგებია, რომლებსაც ეყრდნობა მედიცინა, ჯანმრთელობის დაცვა. ამიტომ ამ ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ საკითხებს, რომელსაც სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის ამჟამად უახლოესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ყრილობის მონაწილეთ უნდა ახსოვდეთ დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ხდება ბრმა, თუ იგი არ იშუქებს გზას რევოლუციური თეორიით“.

ამიტომ ყრილობამ უნდა შეაფასოს ფიზიოლოგიური მეცნიერებათა დარგში ჩატარებული მუშაობის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და საბჭოთა მედიცინის შემდგომი ზრდა-განმტკიცებისათვის.

ყრილობამ მარქსიზმ-ლენინიზმის, მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე უნდა გამოიმუშაოს სწორი პრინციპები და გზები ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და ფარმაკოლოგიის განვითარებისა და კადრების მომზადებისა მესამე ხუთწლედისათვის.

ყრილობის შემდეგ უფრო მძლავრად და სწრაფად უნდა განვითარდეს საბჭოთა ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია.

ყრილობის ყველა დელეგატს, საბჭოთა მეცნიერების ყველა მუშაკს უნდა ახსოვდეს, ხალხის უბოროტესი მტრები, ფაშისტური ტროცკისტ-ბუხარინელ კონტრრევოლუციონერთა ბანდის ნაძირალები, რომლებიც ცდილობდნენ და მომავალშიაც შეეცდებიან სოციალიზმის, ხალხის სამტროდ გამოიყენონ საბჭოთა მეცნიერება, ჩაშალონ მისი მიღწევები. ამიტომ საჭიროა პატიოსანი, თავდადებული, სპეციალური სამეცნიერო მუშაობა მჭიდროდ დავაკავშიროთ ბოლშევიზმის, მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებასთან. საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობასთან, გავაძლიეროთ პოლიტიკური სიმახვილე და რევოლუციური სიფხიზლე.

საბჭოთა მეცნიერება მიუვალი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს ფაშიზმის მოსყიდულ ტროცკისტ-მემარჯვენე ჯაშუშების, დივერსანტ-მავნებლებისათვის, ხალხის საზიზღარ მტრების ნაბოლარებისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა ფიზიოლოგიური მეცნიერების აყვავებისათვის მებრძოლთ— ფიზიოლოგთა მეექვსე საკავშირო ყრილობის დელეგატებს!

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი დაბრუნდა მოსკოვს

მოსკოვი, 10 ოქტომბერი (საქდესი). 10 ოქტომბერს ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ნაწილების ტაქტიკური ვარჯიშობიდან მოსკოვს დაბრუნდა თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ე. ვოროშილოვი.

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-28 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების (1937 წლის 3 ოქტომბრის „იზვესტია“ № 231). საფუძველზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-28 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„28 (ნაწილი 1) თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით სსრ კავშირის შორეულ ადგილას დაიდება ვადით სამი წლიდან ათ წლამდე. ხოლო საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსის 58^6, 58^7 და 58^9 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობისათვის—ოცდა ხუთ წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი—გ. გოჩაშვილი.

1937 წ. 10 ოქტომბერი.
ქ. თბილისი.

ვაიან კუტიურიეს გარდაცვალება

პარიზი, 11 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, კომუნისტი დეპუტატი ვაიან კუტიურიე გარდაიცვალა 10 ოქტომბერს საღამოს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

თანახმად საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის დადგენილებისა და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-72 მუხლისა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე დაწესდეს არჩევნების ვადამდე არაუგვიანეს ორი თვისა და არასამუშაო დღეს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაინიშნოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები 1937 წლის 12 დეკემბრისათვის.
2. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის დასაწყისი გამოცხადდეს 1937 წლის 12 ოქტომბრიდან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი — ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 11 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 34 და 35 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პეტრე გიორგის-ძე **მოსკატოვი**—პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ოტო იულის-ძე **შმიდტი**—უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი მაქსიმილიანის-ძე **მალენკოვი**—პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:
ნიკიტა სერგეის-ძე **ხრუშჩოვი**—მოსკოვის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,
ალექსანდრე ივანეს-ძე **უგაროვი**—ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,
ლევ ზაქარიას-ძე **მეხლისი**—გაზეთ „პრავდის“ მუშაკთა კოლექტივისაგან,
მიხეილ ალექსანდრეს-ძე **შოლოხოვი**—საბჭოთა მწერლების კავშირისაგან,
ალექსანდრე ვასილის-ძე **კოსარევი**—ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან,
პავლე სიდორის-ძე **გორშენინი**—სსრ კავშირის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან,
ტატიანა პეტრეს-ასული **შაპოვალოვა**—ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ კოლმეურნეებისაგან,
ნიკოლოზ ფილიპეს-ძე **კოლესნიკი**—ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან,
მატრონა კუზმას-ასული **სიმონჟენკოვა**—„ოქტომბრის რევოლუციის“ სახ. ფაბრიკის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან,
ევდოკიმ ილარიონის-ძე **შაპოვალოვი**—კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობა „ნოვი მირის“ კოლმეურნეებისაგან,
დიმიტრი მათეს-ძე **ევტუშენკო**—კიევის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,
უსმან **იუსუპოვი**—უზბეკეთის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ — სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი — ა. ანდრეევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 11 ოქტომბერი.

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 და 35 მუხლების და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 21, 22, 23 და 24 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის ცაკმა 1937 წ. 11 ოქტომბრის დადგენილებით შეიქმნა კავშირის საბჭოს არჩევნების 569 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 574 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ა) კავშირის საბჭოს არჩევნებისათვის:

სოხუმის საარჩევნო ოლქი № 501 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
ქ. სოხუმი და რაიონები: სოხუმის, გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 502 (ცენტრი—ქ. ბათუმი).
ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, მახარაძისა და ჩოხატაურის.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 503 (ცენტრი—ქ. ფოთი).
ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: მიხა ცხაკაიასი, გალის, ზუგდიდის, ზემო-სვანეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 504 (ცენტრი—ქ. სამტრედია).
რაიონები: სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, წულუკიძის, ლანჩხუთისა და ვანის.

ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 505 (ცენტრი—ქ. ქუთაისი).
რაიონები: ქუთაისის, ქვემო-სვანეთის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულისა და ონის.

ჭიათურის საარჩევნო ოლქი № 506 (ცენტრი—ქ. ჭიათურა).
რაიონები: ჩხარის, ზესტაფონის, ჭიათურის, ბაღდათისა და ორჯონიკიძის.

ბორჯომის საარჩევნო ოლქი № 507 (ცენტრი—ქ. ბორჯომი).
რაიონები: ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის.

გორის საარჩევნო ოლქი № 508 (ცენტრი—ქ. გორი).
ქ. სტალინირი და რაიონები: გორის, სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავისა და ხაშურის.

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქი № 509 (ცენტრი—ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).
ქ. თბილისის რაიონები: ლენინის, სტალინისა და 26 კომუნარის სახელობის.

თბილისის—კიროვის საარჩევნო ოლქი № 510 (ცენტრი—ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).
ქ. თბილისის რაიონები: ორჯონიკიძის სახელობის, კიროვის სახელობის და სასოფლო რაიონები: ლუქსემბურგის, ბორჩალოს და ბაშკიჩეთის.

თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 511 (ცენტრი—ქ. თბილისი).
რაიონები: კასპის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, საგარეჯოს, ყარაიას, ალბულახისა და თბილისის.

თელავის საარჩევნო ოლქი № 512 (ცენტრი—ქ. თელავი).
რაიონები: ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავისა და გურჯაანის.

ბ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკიდან.

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 101 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
ქ. სოხუმი და რაიონები: გაგრისა და გუდაუთის.

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 102 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
რაიონები: სოხუმისა და ოჩამჩირის.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 103 (ცენტრი—ქ. ფოთი).
ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: მიხა ცხაკაიასი, ხობისა და აბაშის.

ზუგდიდის საარჩევნო ოლქი № 104 (ცენტრი—ქ. ზუგდიდი).
რაიონები: ზუგდიდის, გალისა და ზემო-სვანეთის.

გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი № 105 (ცენტრი—სოფ. გეგეჭკორი).
რაიონები: გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და წულუკიძის.

ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი № 106 (ცენტრი—სოფ. ჩოხატაური).
რაიონები: მახარაძის, ქობულეთისა და ჩოხატაურის.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 107 (ცენტრი—ქ. ბათუმი).
ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედისა და ხულოსი.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 108 (ცენტრი—ქ. სამტრედია).
რაიონები: სამტრედიის, ლანჩხუთისა და ვანის.

ზესტაფონის საარჩევნო ოლქი № 109 (ცენტრი—ქ. ზესტაფონი).
რაიონები: ზესტაფონის, ჩხარისა და ბაღდათის.

ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 110 (ცენტრი—ქ. ქუთაისი).
ქ. ქუთაისი და ქუთაისის რაიონი.

ამბროლაურის საარჩევნო ოლქი № 111 (ცენტრი—სოფ. ამბროლაური).
რაიონები: ამბროლაურის, ტყიბულის, ონის, ცაგერის და ქვემო-სვანეთის.

ჭიათურის საარჩევნო ოლქი № 112 (ცენტრი—ქ. ჭიათურა).
რაიონები: ჭიათურისა და ორჯონიკიძის.

ხაშურის საარჩევნო ოლქი № 113 (ცენტრი—ქ. ხაშური).
რაიონები: ხაშურისა და ბორჯომის.

ახალციხის საარჩევნო ოლქი № 114 (ცენტრი—ქ. ახალციხე).
რაიონები: ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის.

ახალქალაქის საარჩევნო ოლქი № 115 (ცენტრი—ქ. ახალქალაქი).
რაიონები: ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის.

გორის საარჩევნო ოლქი № 116 (ცენტრი—ქ. გორი).
რაიონები: გორისა და კასპის.

სტალინირის საარჩევნო ოლქი № 117 (ცენტრი—ქ. სტალინირი).
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები: სტალინირის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის.

თბილისის—ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 118 (ცენტრი—ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).
ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონი და ალბულახის სასოფლო რაიონი.

თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 119 (ცენტრი—ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).
ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონი და თბილისის სასოფლო რაიონი.

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქი № 120 (ცენტრი—ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).
ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონი და სასოფლო რაიონები: ლუქსემბურგისა და ბაშკიჩეთის.

თბილისის 26 კომუნარის სახელობის საარჩევნო ოლქი № 121 (ცენტრი—ქ. თბილისი, 26 კომუნარის სახელობის რაისაბჭო).
ქ. თბილისის 26 კომუნარის სახელობის რაიონი და ბორჩალოს სასოფლო რაიონი.

თბილისის—ლენინის საარჩევნო ოლქი № 122 (ცენტრი—ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო).
ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონი და სასოფლო რაიონები: ყაზბეგისა და დუშეთის.

თელავის საარჩევნო ოლქი № 123 (ცენტრი—ქ. თელავი).
რაიონები: თელავის, ყვარლისა და თიანეთის.

სიღნაღის საარჩევნო ოლქი № 124 (ცენტრი—ქ. სიღნაღი).
რაიონები: სიღნაღისა და ლაგოდეხის.

გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 125 (ცენტრი—ქ. გურჯაანი).
რაიონები: გურჯაანის, საგარეჯოსი და ყარაიასი.

გ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან.

გაგრის საარჩევნო ოლქი № 276 (ცენტრი—ქ. გაგრა).
ქ. გაგრა და გაგრის რაიონი (სოფლსაბჭოები: მეხადირის, მიხელრიპშის, ახალი გაგრის, პილენკოვოსი, სალმენის, ხოლოდნორეჩინსკის, ხოშჩუპსისა და ხრისტოფოროვის).

კალდახვარის საარჩევნო ოლქი № 277 (ცენტრი—სოფ. კალდახვარი).
რაიონები: გაგრის (სოფლსაბჭოები: ალხაძინის, კალდახვარისა და კოლხიდის) და გუდაუთის (სოფლსაბჭოები: კაველუკის, კალდახვარის, ლიძავის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგურძიხვის, ზვანდრიპშის, ბარმიშის, მიუსერისა და ხოპის).

გუდაუთის საარჩევნო ოლქი № 278 (ცენტრი—ქ. გუდაუთი).
ქ. გუდაუთი და გუდაუთის რაიონი (სოფლსაბჭოები: აბგარხუკის, აფხაზური ანუხვის, სომხური ანუხვის, აცინის, აჩანდარის, ბაკლანოვკის, ბომბორის, დურიპშის, კულანურხვის, ლიხნის, მწარის, ზღვისპირისა და ფსირცხის).

სოხუმი — კარლ ლიბკნეხტის საარჩევნო ოლქი № 279 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
ქ. სოხუმის მარცხენა ნაწილი კარლ ლიბკნეხტის ქუჩისა და კამანის გზატკეცილის საზღვრებში და სოხუმის რაიონის გუმისტის სოფლსაბჭო.

სოხუმი—საქალაქო საარჩევნო ოლქი № 280 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
ქ. სოხუმის მარჯვენა ნაწილი კარლ ლიბკნეხტის ქუჩის და კამანის გზატკეცილის საზღვრებში და სოხუმის რაიონის ვოლოდარსკის სოფლსაბჭო.

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 281 (ცენტრი—ქ. სოხუმი).
სოხუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: [illegible], სომხური ეშერის, მიხაილოვკის, ანდრეევკის, კონსტანტინოვკის, ბეშყარდაშის, ეკატერინინსკის, აფხაზური ეშერის, ოლგინსკისა და მერხეულის).

გულრიფშის საარჩევნო ოლქი № 282 (ცენტრი—სოფ. გულრიფში).
სოხუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: აჭარის, ანასტასიევკის, ვლადიმირსკის, გულრიფშის, დრანდის, ლატის, წებელდისა და აზანთის).

ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი № 283 (ცენტრი—ქ. ოჩამჩირე).
ქ. ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი (სოფლსაბჭოები: აძიუბჟის, არაგიჩის, აფხაზური ატარის, სომხური ატარის, ჯღერდის, გვადის, კოჩარის, კვითოულის, კინდის, ტამიშის, ლაბრის, მოქვისა და ილორის).

ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი № 284 (ცენტრი—დაბა ტყვარჩელი).
ოჩამჩირის რაიონი (სოფლსაბჭოები: ბესლახუბის, ოხურეის, პოკვეშის, აკვასკის, მორკულის, ჯალის, თხინის, ჭილოვის, ატაპის, არასაძიხის, გუპის, ტყვარჩელის, პერვომბედინის, ჩხორტოლის, აგუბედინის, რეკინის და ტყვარჩელის დაბის საბჭო).

გალის ცენტრალური საარჩევნო ოლქი № 285 (ცენტრი—სოფ. გალი).
გალის რაიონი (სოფლსაბჭოები: ჭუბურისხინის, საბერიოს, ლაკუხონის, რეჩხო-ცხირის, დიხაზურგის, გუმურიშის, ოქუმის, მუხურის, ცარჩეის, მე-2 ბედიის, აჩიგვარისა და პირველი გალის).

გალის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 286 (ცენტრი — სოფ. გალი).
გალის რაიონი (სოფლსაბჭოები: ცხირო - გალის, რეპოშეშელეთის,

დასასრული იხ. მე-2 გვ.

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

(დასასრული)

გუდაპის, ხუმუშკურის, ზემო-ვარგაბის, ქვემო-ვარგაბის, გაგიდის, ოტობაიას, პიჩორის ნაბაკევის, ტაგილავისა და სიდის).

დ) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის აჭარის ასს რესპუბლიკიდან.

ბათუმი - შაუმიანის საარჩევნო ოლქი № 287 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: ლეიტენანტ შმიდტის ქუჩა, ზღვის პირი, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ლ. ბერიას ქუჩა.

ბათუმი — ბერიას საარჩევნო ოლქი № 288 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: შაუმიანის ქუჩის წყვილი ნომრები, ზღვის პირი არდაგნის ყაზარმებამდე, ლ. ბერიას ქუჩა.

ბათუმი — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი № 289 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში — ფრუნზეს ქუჩა, ლეიტენანტ შმიდტის ქუჩა, ლ. ბერიას ქუჩა (ჩათვლით), არდაგნის ყაზარმები (ჩათვლით), ქალაქის ფარგალი.

ბათუმი — ზღვის პირა საარჩევნო ოლქი № 290 (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი საზღვრებში: ფრუნზეს ქუჩა (ჩათვლით), ზღვის პირი, ქალაქის ფარგალი.

ქობულეთის საარჩევნო ოლქი № 291 (ცენტრი — სოფ. ქობულეთი).

ქობულეთის რაიონი (სოფლსაბჭოები: ვოროშილოვის, მუხა-ესტატესი, ლეღვის, ქაქუთის, ქობულეთის, ჩახათისა და ზერაბოსელის).

ჩაქვის საარჩევნო ოლქი № 292 (ცენტრი—სოფ. ჩაქვი).

ქობულეთის რაიონი (სოფლსაბჭოები: ჩაქვის, ხალის, დაგვის, კვირიკესი და ხუცუბნის).

კაპანდიბის საარჩევნო ოლქი № 293 (ცენტრი—სოფ. კაპანდიბი).

ბათუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: კაპანდიბის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყლის, კირნათის, აჭარისაღმართისა და მახუნცეთის).

ურეხის საარჩევნო ოლქი № 294 (ცენტრი — სოფ. ურეხი).

ბათუმის რაიონი (სოფლსაბჭოები: ურეხის, ახალშენის, ორთაბათუმის, მახინჯაურის, კახაბერის).

ქედის საარჩევნო ოლქი № 295 (ცენტრი—სოფ. ქედა).

ქედის რაიონი.

ხულოს საარჩევნო ოლქი № 296 (ცენტრი—სოფ. ხულო).

ხულოს რაიონი (სოფლსაბჭოები: ხულოსი, რიკეთის, დიდაჭარის, აგარის, ლორჯომისა და ხიხაძირის).

შუახევის საარჩევნო ოლქი № 297 (ცენტრი—სოფ. შუახევი).

ხულოს რაიონი (სოფლსაბჭოები: წყლისაყარის, ჩვანის, შუახევის, უჩამბის, დღვანის, შუბანის, სხალთის, ყარადერისა და კინჯაურის).

ე) ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 558 (ცენტრი ქ. სტალინირი).

ქ. სტალინირი და სტალინირის რაიონი (სოფლსაბჭოები: ძარის, ქემერტის, ქურთის, სტალინირისა და წუნარის).

სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 559 (ცენტრი—ქ. სტალინირი).

სტალინირის რაიონი (სოფლსაბჭოები: არწევის, ბელოთის, ბიყლარის, ვანათის, გერითის, გრომის, ფრისაქისა და სათიხარის).

ზნაურის საარჩევნო ოლქი № 560 (ცენტრი—სოფ. ზნაური).

ზნაურის რაიონი.

ლენინგორის საარჩევნო ოლქი № 561 (ცენტრი—სოფ. ლენინგორი).

ლენინგორის რაიონი.

ჯავის საარჩევნო ოლქი № 562 (ცენტრი—სოფ. ჯავა).

ჯავის რაიონი.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება

სტახანოვური შრომის შედეგი

ლანჩხუთი, (საკ. კორ.). რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ 18 სექტემბრისათვის შეასრულა და იკისრა გეგმაზე გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაებარებია 100.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. რაიონის სტახანოველებმა, რომლებიც ჩაბმულნი არიან წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, ეს თვითვალდებულებაც ორჯერ და კიდევ მეტი გადაჭარბებით შეასრულეს.

5 ოქტომბრისათვის რაიონს გეგმაზე გადამეტებით ნაკისრ 100.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილი ჰქონდა 217.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს აცანის სტალინის სახელობის, მამათის ლ. ბერიას სახელობის, ჩიბათის და ნიგვზიანის კოლმეურნეობებმა.

აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეს მარტო ფულად 10 მანეთი ერგო. აქაური სტახანოველები: ვ. ჯიჯიეშვილი, ვ. ჩხაიძე, ო. კვიჭიძე, ნ. პაპკოვი და სხვები ჩაის კრეფის ნორმებს 3-4-ჯერ და კიდევ მეტი გადაჭარბებით ასრულებენ.

რაიონის მოწინავე სტახანოველი მკრეფავის — ჟონა კილაძის მაგალითზე მრავალი სტახანოველი გამოიზარდა. ასეთები არიან: ე. მეგრელიშვილი, დარიკო პატარაია, სონია პატარაია, მაშო ჯორბენაძე და კიდევ მრავალი სხვა.

ამჟამად ლანჩხუთის რაიონში 600-ზე მეტი ჩაის სტახანოველი მკრეფავია აღრიცხული.

ჩაის კრეფა გრძელდება. რაიონის კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს.

ფ. თოფურიძე.

ეხმაურებიან ბოდბელების გამოწვევას

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ქვემო-საქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამ რამდენიმე დღის წინათ განიხილეს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

კიროველებმა იკისრეს: სიმინდისა და სოიას 25 ოქტომბრამდე უდანაკარგოდ აღება, ყოველი ჰექტარიდან გეგმით გათვალისწინებულ 11 ცენტნერის ნაცვლად 14 ცენტნერი სიმინდის მოსავლის აღება და ყურძნის მოსავლიანობის გადიდება 50 ცენტნერამდე, პლანტაჟის გეგმის (7 ჰექტარი) შესრულება 1 დეკემბრამდე, ვენახების შეღობვის დამთავრება 15 ოქტომბრამდე.

კოლმეურნეობასთან ეწყობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი ხუთი ახალი წრე, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო ახალი სკოლები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის კიროველმა კოლმეურნეებმა ენერგიული მუშაობა გაშალეს. 330 ჰექტარიდან 5 ოქტომბრისათვის უკვე აღებული იყო სიმინდი 307 ჰექტარზე. ზოგიერთი ბრიგადა ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერ მოსავალს ღებულობს. გამოყოფილი და შემოწმებულია სავენახე ნიადაგები.

კიროველი კოლმეურნეები დიდი ინტერესით სწავლობენ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას. კოლმეურნეობაში ამჟამად დებულების შემსწავლელი 12 წრეა მოწყობილი. წრეებში გაერთიანებულია 511 კაცი. ამ რამდენიმე დღის წინათ არჩევნების დებულებისა და სას.-სამ. არტელის წესდების საკითხებზე კოლმეურნეობაში მოეწყო პოლიტდღე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. შემოვიდა სულ 121 შეკითხვა. არჩევნების დებულების გარშემო შემოსულ შეკითხვებს პასუხი გასცა პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ი. გელაშვილმა, ხოლო არტელის წესდების გარშემო შემოსულ შეკითხვებს — რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გოგოლაშვილმა.

პოლიტდღის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეებს უჩვენეს კინოსურათი „ნარინჯის ველი“. ამ კოლმეურნეობის შეფმა — ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანამ ამ დღეს ქვემო-საქარაში გაგზავნა თავისი სასულე და სიმებიანი ორკესტრები.

კოლმეურნეები ხარობენ უხვი მოსავლით. შარშან კოლმეურნე ს. კვინიკაძემ 204 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 1.020 კილოგრამი სიმინდი, წელს კი მას 1 ოქტომბრისათვის გამომუშავებული აქვს 315 შრომადღე და მარტო ავანსად 2.015 კილოგრამი სიმინდი ერგო.

ენტუზიაზმი, რომელიც წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ გამოიწვია, იმის უტყუარი საბუთია, რომ ქვემო-საქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებენ.

ვ. გოგიაშვილი.

ჩინეთის ამბები

სამხრეთ-ჩინეთში დაძაბული მდგომარეობაა

ნანკინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). სამხრეთ-ჩინეთში არსებული დაძაბული მდგომარეობის გამო, რაც შექმნეს იაპონელთა ავიაციის თავდასხმებმა და იაპონელთა დიდძალი სამხედრო გემების თავმოყრამ, 7 ოქტომბერს ვეიხაივეიდან (შანდუნის პროვინცია) ჰონკონგს გადაიყვანეს ინგლისის ფლოტილიის ნაწილი, მათ შორის სამხედრო გემი „მიდუეი“, მეოთხე ფლოტილიის 10 წყალქვეშა ნავი და ერთი ავიამზიდი. ჰონკონგს გაემგზავრა აგრეთვე ინგლისის ფლოტის აზიის ესკადრის სარდალი ადმირალი ლიტლი, რომელიც ამას წინათ საფლაგმანო გემ „კენტით“ ამოის მოვიდა. ჰონკონგის ინგლისელთა ხელისუფლებამ მოლაპარაკება გამართა იაპონელთა ხელისუფლებასთან იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონელთა სამხედრო გემებმა ტუნშანის კუნძულზე (ფუძიანის პროვინციის სამხრეთ სანაპირო) დაანგრიეს მეტეოროლოგიური სადგური, რაც ინგლისმა ჩინეთთან ერთად ააგო, და რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნავიგაციისათვის სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკე

ტოკიო, 9 ოქტომბერი (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელიც წარმოადგენს პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებასა და ერთა ლიგის რეზოლუციაზე ჩინეთის საკითხში.

კომუნიკე შედარებით თავდაჭერით არის შედგენილი და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს იაპონიის პოზიციას 9 სახელმწიფოს ხელშეკრულების მონაწილეთა კონფერენციისადმი, რომლის მოწვევაც განზრახულია. საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ იაპონიისათვის ბრალის დადება კელოგის პაქტის და 9 სახელმწიფოს ხელშეკრულების დარღვევაში „გამოწვეულია ნამდვილი ვითარების, აგრეთვე იაპონიის ნამდვილი ზრახვების გაუგებლობით“.

„იაპონიის მოქმედება ამჟამად — ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში,—ეს მხოლოდ თავდაცვის ღონისძიებაა, რომელსაც იგი იძულებულია მიმართოს ჩინეთის წინასწარ მოფიქრებული პროვოკაციული აქტების გამო“. რაც შეეხება იაპონიის მთავრობის მიზნებს, „იგი ამჟამად მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ჩინეთმა ხელი აიღოს ანტიიაპონურ პოლიტიკაზე. იგი აგრეთვე ისწრაფვის დამყარებული იქნას მტკიცე მშვიდობიანობა აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთსა და იაპონიას შორის გულწრფელი თანამშრომლობის საშუალებით“.

ამის შემდეგ კომუნიკე შეიცავს ჩინეთში იაპონიის შესევის ჩვეულებრივს გამართლებას, რომელიც თავდება მტკიცებით, რომ არა იაპონიამ, არამედ ჩინეთმა „დაარღვია კელოგის პაქტის დედააზრი და საფრთხე შეუქმნა საყოველთაო მშვიდობიანობას“.



ჩინეთის წითელი არმიის ცნობილი ბელადი **ჯუ დე,** სიტყვას ამბობს მიტინგზე. „სოიუზფოტო“

ესპანეთის ფრონტებზე

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკის ჯარები ძლიერ აწვებიან მეამბოხეთა პოზიციებს სანტა-კრუსის მონასტერთან და პუნტა კალვარიოსთან, აგრეთვე ალკუბიერეს რაიონში (სარაგოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით). რესპუბლიკელთა არტილერია წარმატებით უშენს ყუმბარებს საბინიანიგოს. რესპუბლიკის ჯარებმა 700 მეტრით წინ წასწიეს თავისი პოზიციები ვენადოსა და სუერაში, აგრეთვე პოზიციები ბიესკასა და სერენეგუეში. ამ უბანში ალყა შემოარტყეს მეამბოხეთა ჯგუფს 35 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით.

ჩრდილოეთის ფრონტი.

ამ ფრონტის აღმოსავლეთ ნაწილში მეამბოხეებს კვლავ უკავიათ მაღლობი 430 ლარიერის ჩრდილოეთით. ამ მაღლობის კალთებზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლა. რესპუბლიკელთა არტილერიამ გაფანტა მეამბოხეთა დაჯგუფებანი ამ პოზიციების ერთ-ერთ გამოსავალ პუნქტში.

ამ ფრონტის სამხრეთ ნაწილში რესპუბლიკის ჯარებმა იერიში მიიტანეს პენიაბუგანის რაიონში, საგრძნობი ზარალი მიაყენეს რა მეამბოხეებს. რესპუბლიკის ჯარებმა დაი- [illegible]. მეამბოხეთა იერიში [illegible] რესპუბლიკელებმა [illegible] ჩაიგდეს ფაშისტების ერთი ჰვიაგამანადგურებელი.

ცენტრალური ფრონტი.

კარაბანჩელის სექტორში რესპუბლიკელებმა დაიკავეს ოთხი შენობა, რომლებიც მეამბოხეების ხელში იყო, ტეროლისა და ელბლანდენის უბნებში.

მდინარე ტახოს სამხრეთ სექტორში მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს— რესპუბლიკელთა პოზიციებზე პარალედოში. მაგრამ რესპუბლიკელთა კავალერიამ აიძულა ისინი გამოსავალ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ.

სამხრეთის ფრონტი.

ფაშისტების არტილერიამ და ავიაციამ ყუმბარები დაუშინეს რესპუბლიკელთა პოზიციებს პოსობლანკოს სექტორში კუენკის მახლობლად. რესპუბლიკის ჯარებმა ორჯერ მოიგერიეს მეამბოხეთა იერიშები. მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს.

იტალიის მთავრობის საპასუხო ნოტა ინგლის-საფრანგეთის ნოტაზე

რომი, 10 ოქტომბერი (საკდესი). იტალიის მთავრობის საპასუხო ნოტაში ინგლის-საფრანგეთის 1 ოქტომბრის ნოტაზე ესპანეთიდან უცხოეთის ჯარების გამოწვევის შესახებ ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა უარჰყოფს ინგლისისა და საფრანგეთის მიერ წამოყენებულ წინადადებას სამი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ და რჩევას იძლევა განგრძობილ იქნას საკითხის განხილვა ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტში.

ნოტაში ნათქვამია აგრეთვე, რომ იტალიის მთავრობა მონაწილეობას არ მიიღებს მოლაპარაკებაში, რომელშიაც მიზიდული არ იქნება გერმანია.

ბერლინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის პრესა ხაზს უსვამს, რომ იტალია ძალაში სტოვებს თავის პოლიტიკას ესპანეთის საკითხში და რომ რომის პასუხი „მთლიანად შეთანხმებულია ბერლინთან“.

პარიზი, 10 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა იტალიის პასუხით.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი ბურგესი „პტი პარიზიენში“ აცხადებს, რომ „საფრანგეთისა და ინგლისის წრეებში იტალიის პასუხმა იმედგაცრუება გამოიწვია“.

დაპატიმრება ესპანეთს გამგზავრებაზე უარისთქმისათვის

პარიზი, 9 ოქტომბერი (საკდესი). იტალიურ ანტიფაშისტურ გაზეთ „ვოჩე დელი იტალიანას“, რაიც პარიზში გამოდის, მილანიდან შეატყობინეს, რომ, ესპანელ მეამბოხეთა არმიაში გასაგზავნად დანიშნულ იტალიელ რეზერვისტთა სპეციალური ნაწილების მობილიზაციასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს 300 რეზერვისტი, რომელთაც უარი სთქვეს ესპანეთს გამგზავრებაზე.

ჯუ დე დაინიშნა მე-18 საარმიო კორპუსის სარდლად

ნანკინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის სექტორში მყოფი ჯარების სარდლად დაინიშნა ფინ იუ-სიანი. მე-8 არმიის სარდალი ჯუ დე დაინიშნა დამოუკიდებელი მიმართულების ნაციონალურ-რევოლუციური არმიის მე-18 საარმიო კორპუსის სარდლად. ჯუ დეს თანაშემწედ დაინიშნა პენ დე ხუაი.

ჩინეთის რესპუბლიკის მე-26 წლისთავი

ნანკინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). სამხედრო წესების მიხედვით, ნანკინი დღეს დღესასწაულობს ჩინეთის რესპუბლიკის მე-26 წლისთავს. ქალაქი მორთულია დროშებით. იაპონიის ავიაციის 52 თავდასხმის გამო დაცალიერებული ქუჩები დღეს სავსეა ხალხით. სწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება დაჭრილი ჯარისკაცების სასარგებლოდ. დილით გაიმართა მთავრობის წევრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრო ჩან კაი-ში. სიტყვით გამოვიდა ჩინეთის პრეზიდენტი ლინ სენი, მან მოუწოდა ხალხს მონაწილეობა მიიღონ ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და დაეხმარონ ჯარისკაცებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან ჩინეთში იაპონიის შემოჭრის წინააღმდეგ.

კინოთეატრებში, რომლებიც საომარი მოქმედების დაწყების მომენტიდან დახურული იყო, უჩვენებენ კინოქრონიკას „შანხაის დაცვა“, „ჩინეთის საავიაციო ძალები“, „ომი ჩრდილოეთში“ და სხვ. ბევრ ქუჩაში გამოკრულია ანტიიაპონური პლაკატები, ლოზუნგები, სურათები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კედლის გაზეთები. განსაკუთრებით ბევრი ხალხი შეიკრიბა პარკში, სადაც გამოფენილია სამხედრო ტროფეები და იაპონელთა ჩამოგდებული თვითმფრინავები. წიგნის მაღაზიები, რომლებიც დღემდე დახურული იყო, გაიხსნა და გაცხოველებით ვაჭრობენ პოპულარული წიგნებით ერის ხსნისათვის ბრძოლის შესახებ. სამხედრო საავადმყოფოებში მიდის უამრავი ხალხი, რომელსაც დაჭრილებისათვის მიაქვს საჩუქრები და თავისი წვლილი.

საღამოს რადიოთი გადასცეს ნაციონალური ხსნის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა სიტყვები.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ანკარა, 9 ოქტომბერი (საკდესი). ანატოლიის ტელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ წარმატებით დამთავრდა სსრ კავშირისა და თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც ეხებოდა ორივე ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ხელშეკრულების შეცვლას ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

8 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ და შეთანხმებას კომერციული ურთიერთგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ.

საკანტონო არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 10 ოქტომბერი (საკდესი). დღეს მთელს საფრანგეთში, სენის დეპარტამენტის გამოკლებით, დაიწყო საკანტონო არჩევნები. ასარჩევია 1.509 გენერალური მრჩეველი და 1.991 საოლქო მრჩეველი. ყველა საარჩევნო ოლქში წამოყენებულია დაახლოებით 16.000 კანდიდატი სხვადასხვა პარტიებიდან. კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა 2.800 კანდიდატი.

o

წინანდელ საკანტონო არჩევნებში 1931 წელს კონსერვატორებმა მიიღეს 147.722 ხმა, „რესპუბლიკელთა დემოკრატიულმა კავშირმა“ — 657.462, „მემარცხენე რესპუბლიკელებმა“—473.074, დამოუკიდებელმა რადიკალებმა—275.902, რადიკალ-სოციალისტებმა—939.817, რესპუბლიკელმა სოციალისტებმა—148.435, სოციალისტებმა—574.614 და კომუნისტებმა — 175.162 ხმა. ამრიგად, უკანასკნელმა ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებიც ამჟამად სახალხო ანტიფაშისტურ ფრონტში შედიან, მაშინ შეაგროვეს 1.838.028 ხმა, ხოლო მემარჯვენე პარტიებმა— 1.554.160 ხმა.

გემების „კომსომოლისა“ და „სმიდოვიჩის“ ეკიპაჟი სამშობლოს მოემგზავრება

პარიზი, 10 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა გემების „კომსომოლისა“ და „სმიდოვიჩის“ ეკიპაჟის ნაწილი, რომელიც ესპანელ ფაშისტთა ტყვეობიდან განთავისუფლების და რამდენიმე დღეს პარიზში იმყოფებოდა, დღეს გაემართა ჰავრს, საიდანაც თბომავალ „ანდრეი ჟდანოვით“ გაემგზავრება საბჭოთა კავშირში.

მუშათა კლასი, რომლის მსგავსს ისტორია არ იცნობს

უახლოვდება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავს, საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით აფასებს განვლილ გზას. ბრძოლა დაძაბული და სასტიკი იყო. ცოტა სიძნელეების გადალახვა როდი მოგვიხდა. სამაგიეროდ რა საუცხოოდ შეიცვალა ჩვენი სამშობლოს სახე!

მეფის ძველი რუსეთის უზარმაზარ სივრცეებზე, ჩამორჩენილი, აგრარული და დამოკიდებული ქვეყნის ადგილზე დამკვიდრებულია მძლავრი და დიდი ინდუსტრიული საბჭოთა სახელმწიფო, რომლის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ლენინურ-სტალინური პარტია, განთავისუფლდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხები კაპიტალის საუკუნოებრივი ჩაგვრისაგან. გაერთიანებული ძალებით მოიპოვეს მათ ახალი წყობილება, საკუთარი ხელით უზრუნველჰყვეს თავისთვის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ყველა შესაძლებლობანი.

მძიმეა და ბნელით არის მოცული პროლეტარების ცხოვრება კაპიტალიზმის დროს. ჰქმნიდნენ რა ზღაპრულ სიმდიდრეებს კაპიტალისტებისათვის, რუსეთის მუშები იძულებული იყვნენ ჩალის ფასად გაეყიდნათ თავისი სამუშაო ძალა. მეფის რუსეთში თვითეულ მუშას ყოველწლიურად მეტი მოგება მოჰქონდა კაპიტალისტისათვის, ვიდრე თვითონ ღებულობდა ხელფასის სახით. „აქედან გამომდინარეობს,— სწერდა ლენინი, რომ მუშა **ნახევარდღეზე ნაკლებს** მუშაობს თავისთვის, ხოლო **ნახევარდღეზე მეტს „კაპიტალისტისათვის“.**

ცხოვრობდა რა შიმშილით არაქათგამოლეულ საზღვარზე, იტანჯებოდა რა უმუშევრობისაგან, იზიარებდა რა გლეხობასთან ერთად ომის სიმძიმეს, რუსეთის პროლეტარიატი იყო მებრძოლი, თანმიმდევრად და ბოლომდე რევოლუციური კლასი, ყველა ჩაგრულის, ყველა მშრომელის აღიარებული ხელმძღვანელი. მხეცური ექსპლოატაცია აიძულებდა მუშებს დარაზმულიყვნენ და გამოსულიყვნენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. და ამ ბრძოლის წარმატებებისათვის პროლეტარიატმა შექმნა თავისი კლასობრივი გაერთიანებისა და მოქმედების უმაღლესი ფორმა, თავისი მოწინავე მებრძოლი რაზმი—თავისი ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური პარტია. გაბედული, თეორიულად შეიარაღებული, ფოლადივით მოქნილი და მტკიცე, უმაგალითო დისციპლინით შედუღებული, პარტია გახდა პროლეტარიატის გამარჯვების ნებისყოფის ცოცხალი განხორციელება.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა უდიდეს მონაპოვრებს მიაღწია ყველა დარგში. მაგრამ განვლილი გზის თითქმის ყველაზე დიდებული შედეგია ის კლასობრივი ძვრები, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში მოხდა. ჩვენში ლიკვიდირებულია ყველა ექსპლოატატორული კლასი: მემამულეები, ბანკირები, მეფაბრიკეები და მექარხნეები, კულაკები, ვაჭრები და სპეკულანტები. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ახლა მხოლოდ მშრომელი კლასებისაგან შესდგება.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, რომელმაც დაიპყრო და განამტკიცა თავისი ძალაუფლება, უკვე აღარ არის პროლეტარიატი. პროლეტარიატი—ეს საწარმოო საშუალებებს მოკლებული, კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასია. პროლეტარები—ესენი არიან დაქირავებული მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც თავის სამუშაო ძალას ჰყიდიან, კაპიტალისტებს ამდიდრებენ, რომელთაც ქუჩაში ჰყრიან დამქირავებლის მიხედულობით. ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცნობილია, კაპიტალისტების კლასი მოსპობილია, დამყარებულია საწარმოო საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. ამით გამორიცხულია შესაძლებლობა ადამიანის მიერ ადამიანის რაიმე ექსპლოატაციისა.

დიდი სოციალისტური რევოლუციის ერთერთი უდიდესი გამარჯვება, სსრ კავშირის მუშათა კლასის ერთერთი ძირითადი მონაპოვარი არის უმუშევრობის ლიკვიდაცია. არმია უმუშევრებისა—„ზედმეტი ადამიანებისა“, რომელნიც უიმედოდ დახეტიალებენ სამუშაოს საძებნელად, რომელნიც სანაგვე ყუთებს ჰქექავენ და იქ ეძებენ საჭმელს, რომელნიც ჯურღმულებსა და ქოხმახებში ცხოვრობენ,—ასეთია კაპიტალიზმის განუყრელი თანამგზავრი. „უმუშევრობისაგან,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—იჩაგრებიან არა მარტო უმუშევრები. მისგან იჩაგრებიან აგრეთვე მუშები, რომლებსაც სამუშაო აქვთ. იჩაგრებიან იმიტომ, რომ უამრავი უმუშევრის არსებობა მათთვის ჰქმნის მერყევ მდგომარეობას წარმოებაში, ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობას“. სოციალიზმმა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იხსნა უმუშევრობის საშინელებათაგან, მისცა მას შრომის უფლება. 1930 წელს უმუშევრობა სსრ კავშირში ლიკვიდირებულ იქნა მთლიანად და სამუდამოდ.

სამუდამოდ! რადგან სსრ კავშირში მოსპობილია უმუშევრობის წყარო—კაპიტალისტური წესწყობილება, რომელიც წარმოშობს ეკონომიურ კრიზისებს, გაღატაკებას და პაუპერიზმს. რუსეთში იყო 30 მილიონი ღარიბი გლეხი—ეს იყო უმუშევართა ფარული არმია. დამშეული სოფელი ქალაქში სამუშაოს საძებნელად მიერეკებოდა თავის უბედურ შვილებს, ხოლო ქალაქს თვითონ ჰყავდა ჭარბი მუშა-ხელი, რომელიც გამოუყენებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიაც კი, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამდე, ჩვენს ქვეყანაში დარჩა, მართალია ნაკლები ოდენობით, უმუშევრობაც ქალაქში და სოფლის ღარიბებიც. სტალინურმა ხუთწლედებმა საბოლოოდ მოსპეს უმუშევრობაც, სიღარიბეც. ყოფილი ღარიბი გლეხები დიდი ხანია შევიდნენ კოლმეურნეობებში, ხოლო აქ მათ, სულ ცოტა, ყოფილ საშუალო გლეხთა დონეს მიაღწიეს.

დაიცვეს რა იარაღით თავისი დიქტატურა, ჩვენი ქვეყნის მუშებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა ფართოდ გაეშალათ თავისი შემოქმედებითი ნიჭი. მძიმე ტვირთიდან შრომა გადაიქცა საამურ, შემოქმედებითი მუშაობად თავისთვის, თავისი საბჭოთა საზოგადოებისთვის, იგი გადაიქცა ღირსების საქმედ. შრომითი აღმავლობის პირველი ნაპერწკლები სტალინური ხუთწლედების წლებში აგიზგიზდა სოციალისტური შეჯიბრების დიდ კოცონად. ჩვენი ქვეყანა გაეცნო ახალ გმირთა-სტახანოველთა, ტექნიკის გაბედულ ნოვატორთა ათასობით სახელებს. თავისი მუშაობით და ზრდით სტახანოველები ამტკიცებენ, რომ დაიწყო მუშათა კლასის დიდი კულტურულ - ტექნიკური აღმავლობა, რომელიც სპობს გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების საფუძვლებს.

საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი ნაცადი ბოლშევიკური პარტია, მოკლე ისტორიულ ვადაში გარდაქმნა თავისი სოციალისტური სამშობლო. სამრეწველო პროდუქცია 1936 წელს 7,3-ჯერ გაიზარდა ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენმა მუშამ, შეიარაღებულმა ახალი ტექნიკით, იწყო სამჯერ უფრო ნაყოფიერად მუშაობა, ვიდრე რევოლუციამდე.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდეს წარმატებებთან უშუალოდ დაკავშირებულია თვით მუშათა კლასის უმაგალითო ზრდა, მისი ავტორიტეტის განმტკიცება. 1913 წელს რუსეთში იყო 11,4 მილიონი მუშა და მოსამსახურე. 1936 წელს სსრ კავშირში ირიცხებოდა 25,8 მილიონი მუშა და მოსამსახურე. მეფის რუსეთის მოსახლეობის მთელს შემადგენლობაში პროლეტარები და მათი ოჯახის წევრები შეადგენდნენ მხოლოდ 16,7 პროცენტს. ახლა მუშათა კლასის წილად მოდის მთელი მოსახლეობის 34,7 პროცენტი. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ, თუ რაოდენ მძლავრ ძალად გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი.

მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი მავნებლები, ფაშიზმის დაქირავებული აგენტები ცდილობდნენ წაერთმიათ ჩვენთვის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარნი. ეს საზიზღარი ქვეწარმავალნი მოსტყუვდნენ: საბჭოთა ქვეყნის მონაპოვარს იცავს ყველა მშრომელი და პირველ რიგში მუშათა კლასი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს. ამიტომ მტრებმა ვერ შესძლეს და ვერასოდეს შესძლებენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული მუშები შერეკონ კაპიტალიზმის ბოსელში.

უახლოეს დროში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის 26-მილიონიანი არმია, რომელიც სათავეში უდგას მშრომელთა მთელს მასას, მივა საარჩევნო ყუთებთან, რათა გამოჰხატოს თავისი ნება-სურვილი და გამოჰყოს საუკეთესო ადამიანები, რომელთაც დაეკისრებათ საპატიო ამოცანა წაიყვანონ ჩვენი ქვეყანა წინ კომუნიზმის გზით.

მუშათა კლასი, რომელსაც სათავეში უდგას და პოლიტიკურად ზრდის კომუნისტების პარტია, არჩევნებში გამოვა როგორც მთელი საბჭოთა საზოგადოების აღიარებული ხელმძღვანელი.

„პრავდის“ მოწინავე, 11/X

მ. ი. კალინინი

მუშათა კლასი წინათ და ახლა

რუსეთის მუშათა კლასს, ევროპის მუშებთან შედარებით, სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლის მოკლე, მაგრამ სახელოვანი ისტორია აქვს. კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება რუსეთში უფრო ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, ვიდრე მუშათა მოძრაობის განვითარება.

ეს შედარებით ცოტა ხნის წინათ იყო. მე კიდევ მოვესწარი იმ დროს, როდესაც ქარხანაში მუშაობა დილის 6 საათსა და 30 წუთზე იწყებოდა და საღამოს 6 საათზე თავდებოდა, სადილისათვის ნახევარი საათით შესვენებით. ბევრ ფაბრიკაში მუშაობა იწყებოდა დილის 5 საათზე და თავდებოდა საღამოს 8 საათზე, სადილისა და საუზმისათვის ორი საათის შესვენებით. მუშები უმთავრესად ბარაკების ტიპის საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ.

იმ დროს პროტესტები ქარხნის უფროსთა თვითნებობის წინააღმდეგ მეტწილად არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა და ხშირად ოსტატების ცემით გამოიხატებოდა. ზოგჯერ ოსტატს თავზე ტომარას ჩამოაცვამდნენ, ურიკაზე დასვამდნენ და ქარხნის ჭიშკარს გარეთ გაიყვანდნენ. იმ ადამიანებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ოსტატების ცემაში, მუშები აფასებდნენ, როგორც გაბედულ პროტესტანტებს არსებული ჩაგვრისა და ოსტატის პირადი თვითნებობის წინააღმდეგ. მთავარი საზოგადოებრივი ადგილები, სადაც მუშები იკრიბებოდნენ, ლუდხანები და ტრაქტირები იყო.

მუშის ცხოვრება მეტად პრიმიტიული, მარტივი იყო. ქანცის გამწყვეტი, გრძელი სამუშაო დღე, ცუდი საბინაო პირობები იყო რუსი მუშის ხვედრი. მუშები იძულებული იყვნენ მთელი თავისუფალი დრო ტრაქტირებში, ლუდხანებსა და საჩაიეებში გაეტარებინათ. მუშის ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ ძლივსძლივობით კმაროდა ოჯახის ღატაკური არსებობის შესანარჩუნებლად. მოსკოვში—პროხოროვის მანუფაქტურაში სამუშაო ხელფასი თვეში საშუალოდ 20 მან. 50 კაპ. უდრიდა. თითქმის ყოველ საწარმოში იმ დროს მიმართავდნენ მუშის დამამცირებელ ჯარიმათა სისტემას. იმავე პროხოროვის მანუფაქტურაში მუშებს აჯარიმებდნენ:

„უმსგავსოებისათვის“ — 50 კაპეიკით,

კანტორის უნებართვოდ ღამისგამთევის თავისთან დატოვებისათვის— 50 კაპეიკით,

ქვედა ჭიშკრიდან შესვლისათვის— 50 კაპეიკით,

ეზოდან გასვლისათვის—50 კაპეიკით,

ადრე ადგომისათვის—50 კაპეიკით.

ზოგიერთი „ღვთისმოსავი“ მეფაბრიკე მუშებს „ეკლესიაში წაუსვლელობისთვისაც“ აჯარიმებდა.

ოსტატების დამოკიდებულება მუშებისადმი თითქმის პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ამა თუ იმ ოსტატთან თანამემამულენი, რომელიმე ერთი სოფლის მცხოვრებნი მუშაობდნენ. არსებობდა მთელი სახელოსნოები, რომლებშიაც ერთი სოფლიდან მოსული ადამიანები მუშაობდნენ. სოფლიდან ახალი მუშაკი რომ ჩამოვიდოდა, თანამემამულენი აწყობდნენ მას ქარხანაში ან სახელოსნოში, რისთვისაც, რა თქმა უნდა, ოსტატს „მოიმადლიერებდნენ“ ხოლმე სათანადო ქრთამის მიცემით —ნატურით ან ფულით. ოსტატი ქრთამებს ღებულობდა სამუშაოზე მოწყობისათვის, ხოლო ზოგჯერ იმისთვისაც იღებდა ფულს, რომ უფრო ხელსაყრელ სამუშაოს იძლეოდა.

შეიძლებოდა მოგვეყვანა მრავალი მაგალითი იმისა, თუ რამდენი სიბილწე და დამცირება უნდა აეტანა მუშას ამა თუ იმ საწარმოში შესვლისას. დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი მაგალითით, რომელიც ჩვენ ამოვიღეთ ქარხანა „რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის“ (ახლანდელი „კრასნი ტრეუგოლნიკ“) ისტორიიდან. აი როგორ სწარმოებდა მაშინ მუშების მიღება ამ ქარხანაში:

„მუშების აყვანა კვირაში ორჯერ ხდებოდა — ორშაბათობით და ხუთშაბათობით. დაამწკრივებდა დირექტორი ხალხს პანელთან, დადიოდა და, როგორც ყასაბი ჯოგში პირუტყვს, ისე არჩევდა იმათ, ვინც უფრო ტანადი, უფრო მაღალი, მოხდენილი, კითხვა-პასუხში თავაზიანი იყო. მას კი უკან მოსდევდა პირადი მცველი, უფროსი აღმნიშვნელი ფრანცი, მეტსახელად „ტარტაროზი“. ფრანცი გერმანელი იყო, ძალიან ცუდად ლაპარაკობდა რუსულად. მხოლოდ ჰყვიროდა: „აქეთ ტარტაროზო, იქით ტარტაროზო“. გეიზე ბარათს იძლეოდა, „ტარტაროზი“ კი გასავლელ ოთახში ჰგზავნიდა მიღებულთ და იქ ოსტატები დახარისხებას იწყებდნენ“.

მაგრამ მაშინაც, გასული საუკუნის დამლევს, მუშებს შორის გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესების გზებზე. კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო და უფრო ორგანიზებულ და დარაზმულ ხასიათს ღებულობდა. გაფიცვები სულ უფრო და უფრო ხშირად ეხებოდა მუშათა მოძრაობის საერთო ამოცანებსა და მიზნებს. კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ მუშათა კლასის შეურიგებელ ბრძოლაში ჩაისახა, გაიზარდა და განმტკიცდა პარტია.

მუშათა კლასმა უკანასკნელ ათეულ წლებში ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე რამდენადმე გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა: შემოკლდა სამუშაო დღე, გადიდდა ხელფასი, მუშათა კლასის ზედა ფენამ ცოტათი უკეთესად ცხოვრების შესაძლებლობა მიიღო; მაგრამ ამასთან ერთად მუშათა მატერიალური მდგომარეობის მერყეობაც გაიზარდა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად გახშირდა კრიზისები, რომლების დროსაც მუშებს ასიათასობით ერეკებოდნენ ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, ქარხნების კართან სულ უფრო და უფრო დიდი ხდებოდა შრომის სათადარიგო არმია.

რუსი მუშა სულ უფრო და უფრო მეტად იქცეოდა არაუზრუნველყოფილ პროლეტარად, რომელიც დღეს რომ მუშაობდა, სრულებით არ იყო დარწმუნებული ხვალინდელ დღეში.

როდესაც ვადარებთ საბჭოთა სახელმწიფოში მუშის ცხოვრებას მის ცხოვრებასთან და მუშაობასთან ძველ, მეფის რუსეთში, ჩვენ ვხედავთ, თუ რა უფსკრულია მათ შორის. დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მოსპო კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, ძირფესვიანად შესცვალა რუსეთის მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობები. და ცხოვრების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან გაუმჯობესებად მე მიმაჩნია ის, რომ დღეს მუშას არ ემუქრება დამოკლეს მუდმივი მახვილი — მუშას არ ეშინია, რომ ხვალ ის უმუშევარი დარჩება. ჩვენი მუშების ახალგაზრდა თაობას, და საშუალოსაც, ახლა არც კი შეუძლია წარმოიდგინოს სამუშაოს დაკარგვისაგან გამოწვეული ის გრძნობა, რომელსაც წარსულში პროლეტარი განიცდიდა. მუშების უმაღლეს კატეგორიებსაც კი, რომლებიც შედარებით უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ არა მარტო თავისი ხელფასის ოდენობით, არამედ მისი სიმყარითაც, მათაც კი არასოდეს არ შორდებოდათ იმაზე ფიქრი, რომ შესაძლებელი იყო ყოველ წუთში დაეკარგათ თავისი ხელფასი. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს გრძნობა კრიზისებისა და ეგრეთწოდებული დეპრესიების მომენტებში.

ქარხანაში მუშაობისას, მუშა, ცხადია, ხვდება ათისთავს, ოსტატს, სახელოსნოს უფროსს. ოსტატისა და მუშის ინტერესები კაპიტალისტური წარმოების პირობებში მუდამ ერთიმეორის საწინააღმდეგოა. ოსტატს, როგორც მეწარმის ნოქარს, სურს ნივთი უფრო იაფად გააკეთოს, ვიდრე იგი ნამდვილად ღირს. მუშას სურს რაც შეიძლება მეტი მიიღოს. ამ ნიადაგზე ყოველთვის ხდებოდა შეტაკებები. როგორადაც უნდა ცდილიყო მუშა თავმდაბლად დაეჭირნა თავი, არ გაეღიზიანებინა ოსტატი და სათანადო უფროსები, ყოველდღიურ მუშაობაში მას მაინც არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს შეტაკებანი. კრიზისი ან დეპრესია რომ დადგებოდა, მუშა იხსენებდა ამ შეტაკებას ოსტატთან და შიშით მოელოდა ანგარიშის გასწორებას, დათხოვნას. ყოველ წუთში დათხოვნის ეს საფრთხე მუშათა კლასის უბედურება იყო. მას დემორალიზაცია შეჰქონდა მუშებში, აიძულებდა მათ მუდამ ფრთხილად, მუდამ დაკვირვებით ყოფილიყვნენ ოსტატთან, გაეთვალისწინებინათ თვითეული თავისი მოქმედება. ასე იყო მეფის რუსეთში, ასეა ახლა კაპიტალიზმის ქვეყნებში. სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც სავსებით მოსპობილია უმუშევრობა, სადაც ოსტატი და მუშა ერთსა და იმავე მიზანს ისახავენ—რაც შეიძლება უკეთესად ემსახურონ სოციალიზმის საქმეს.

იმის შეგნება, რომ მე ქარხანაში მუდმივი მუშა ვარ, რომ, თუ ერთ საწარმოში ამა თუ იმ მიზეზით სამუშაო ნაკლები ხდება, მე შემიძლიან სხვა ქარხანაში გადავიდე; იმის შეგნება, რომ კოლექტივს ესაჭიროება ჩემი მუშაობა, დამოუკიდებელს ხდის ადამიანს, ამაღლებს მის ცხოველმოქმედებას, ღირსებას. აძლევს მუშას შესაძლებლობას მთელი თავისუფალი დრო მოანდომოს დასვენებას, გართობას, თავისი კულტურული დონის ამაღლებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში მუშაობას.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მიმდინარეობის შედეგად „მუშამ და კოლმეურნემ მიიღეს სრული რწმენა ხვალინდელი დღისადმი, და მხოლოდ მათ მიერ დახარჯული შრომის ხარისხსა და რაოდენობაზეა დამოკიდებული მათი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სულ უფრო მეტად ამაღლება. სსრ კავშირში მშრომელთათვის გაჰქრა უმუშევრობის, სიღატაკისა და შიმშილის საფრთხე. რწმენითა და სიხარულით შესცქერის ყოველი მუშა და კოლმეურნე თავის მომავალს და სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ცოდნასა და კულტურას“[1].

დიდი სოციალისტური რევოლუციის ეს მონაპოვარი კვალს ასვამს მთელ ჩვენს მუშათა კლასს, სცვლის მის ხასიათს, უნდობელი, კაპიტალიზმის დროს ხვალინდელი დღისადმი რწმენის არმქონე ადამიანისაგან აქტიურ ოპტიმისტად აქცევს მას. ეს შეიძლება დავინახოთ უამრავ მაგალითებზე.

მაგრამ ჩვენი მუშების ოპტიმიზმს საერთო არაფერი აქვს იმ ეგრეთწოდებული „საშუალო ამერიკელის“ ოპტიმიზმთან, რომელიც თავისი ცხოვრების ყველა გეგმას ამყარებს ფორტუნაზე, წარმოუდგენელ შემთხვევაზე, მოულოდნელ ბედნიერებაზე, ხელსაყრელად შეწყობილი გარემოებებზე. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ამ იმედების უდიდესი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, არარეალურია, იმიტომ რომ მათ საფუძვლად უდევს მხოლოდ ყალბი წარმოდგენა. საბჭოთა მუშის ოპტიმიზმი უაღრესად საფუძვლიანია, იმიტომ რომ იგი გამომდინარეობს საბჭოთა წყობილების თვით დედაარსიდან, იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ ცალკეული მუშის კეთილდღეობით ჩვენში დაინტერესებულია მთელი კოლექტივი, მთელი მუშათა კლასი. ეს ოპტიმიზმი განმტკიცებულია სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციით: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად“. რა ოპტიმიზმი შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს, თუ არასრული და შემცირებული ცნობებით, 32 ბურჟუაზიულ ქვეყანაში 1936 წელს ოფიციალურად აღრიცხული იყო 20 მილიონზე მეტი უმუშევარი!

დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთის მუშათა კლასს მოუტანა მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე—შვიდი საათის სამუშაო დღე. ეს უდიდესი მონაპოვარია, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია. მუშაობს რა წარმოებაში სულ შვიდ საათს, საბჭოთა მუშას თავის განკარგულებაში აქვს 17 საათი დასვენებისა, ძილისა, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშას საკმაო დრო აქვს თავისი კულტურული დონის ასამაღლებლად; მას შეუძლია საკმაო დრო დაუთმოს თავის ოჯახს; მას საკმაო დრო აქვს იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს თავისი შვილების კულტურულ განვითარებას. ყოველივე ამას მეფის რუსეთის მუშები მოკლებული იყვნენ. მოკლებული არიან ამას მთელი კაპიტალისტური სამყაროს მუშებიც. მეფის რუსეთის მუშების შვილები, როგორც წესი, უმეთვალყურონი იყვნენ, თავისუფალ დროს ისინი მუშათა უბნების ჭუჭყიან ჯურღმულებში ატარებდნენ და სისხლის სამართლის დამნაშავეთა რიგებს ავსებდნენ; ხოლო წამოიზრდებოდნენ თუ არა, სკოლის დაუმთავრებლად, მიდიოდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაოდ ბიჭებად ან შეგირდებად. მეფის რუსეთის მუშათა მთელი რაოდენობის ერთმა მესამედმა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობა დაიწყო იმ დროს, როცა თორმეტი წლის ასაკისათვის არ მიეღწია (მათგან 10 პროც. ფაბრიკებში მაშინ წავიდა, როდესაც ისინი 10 წლისაც არ იყვნენ!). მეორე მესამედმა მუშაობა დაიწყო 12-14 წლის ასაკში. და მხოლოდ ერთმა მესამედმა დაიწყო მუშაობა თხუთმეტი წლის ასაკიდან[2].

ყოველივე ეს სამუდამოდ გაჰქრა! 1937 წელს სსრ კავშირის საშუალო და დაწყებით სკოლებში 30 მილიონი ბავშვი სწავლობს. სსრ კავშირის მოქალაქე სავსებით გულდამშვიდებულია თავისი შვილების სწავლის საქმეზე. ამისათვის არსებობს უფასო სკოლები, სადაც მშობლები კანონის ძალით ვალდებული არიან გაგზავნონ თავისი შვილები. ყოველი ბავშვის შემდგომი გზა მთლიანად დამოკიდებული იქნება მის ნიჭსა და მიდრეკილებაზე.

ეს ჩვენში ფულად არ იანგარიშება, ეს აღრიცხულიც არ არის მუშის ბიუჯეტში, ამავე დროს კი — ეს სახელმწიფო ხარჯების ვეებერთელა დარგია. საკმარისია ითქვას, რომ ძველ რუსეთში საშუალო სკოლაში სწავლის ქირა, შედარებით, მაღალი არ იყო, და მაინც ბავშვის სწავლება წელიწადში ღირდა არანაკლებ 250 მანეთისა, მაშინ როცა კვალიფიციური მუშის ხელფასი თვეში 40-45 მანეთს შეადგენდა. აქედან გასაგებია, თუ რატომ თითქმის სრულებით არ იყვნენ მაშინ საშუალო სასწავლებლებში მუშების შვილები.

მუშათა დაზღვევაც ავადმყოფობის შემთხვევაში, შრომის უნარის დაკარგვისას, აგრეთვე მოხუცებულობაში, სოციალისტური რევოლუციის მცირე მონაპოვარი როდია. რას ნიშნავს უფასო სამედიცინო დახმარება? მე კვალიფიციური მუშა ვიყავი, ჩემი ხელფასი მუშების საშუალო ხელფასს აღემატებოდა. ერთხელ ქარხანაში ავად გავხდი, ორ თვეს ვიავადმყოფე, და ამ ხნის განმავლობაში დამზღვევი სალაროდან სულ 15 მანეთი მივიღე. ჩემი ხელფასიდან კი პროცენტ-ნახევარი სადაზღვევო ანარიცხი მიჰქონდათ. დაუმატეთ ამას ექიმის გასამრჯელო, წამლის ღირებულება — და თქვენთვის ცხადი გახდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავვარდი მე, კვალიფიციური მუშა. ორი თვის ავადმყოფობამ, როგორც ძველად იტყოდნენ, სულამდე გამცალა.

ავიღოთ მატერიალური უზრუნველყოფა მოხუცებულობაში და შრომის უნარის დაკარგვისას. ვიდრე ადამიანი ახალგაზრდა და ღონიერია, მას ეს საკითხი არ აინტერესებს. ძველ რუსეთში ასე ხდებოდა: კვალიფიციური მუშა შედარებით გვარიან ხელფასს ღებულობს. მაგრამ აი დაბერდა. რა ქნას? თუ ქარხანაში მრავალ წელს იმუშავა, თუ მას ქარხნის ადმინისტრაციის ერთგულ მსახურად სთვლიან, მაშინ იგი კვალიფიციური სამუშაოდან გადაჰყავთ ან დარაჯის, ან სახელოსნოს დამლაგებლის თანამდებობაზე. ამის შესაბამისად, რა თქმა უნდა, მცირდება მისი ხელფასიც. მაგრამ ასეთ მდგომარეობაშიაც ხომ მხოლოდ „ბედნიერნი“ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ ისინი, ვისაც ადმინისტრაცია განსაკუთრებით სწყალობდა. მოხუცთა უმრავლესობას კი ანგარიშს უსწორებდნენ. კაპიტალისტი აბსოლუტურად გულგრილად უყურებს იმას, თუ როგორ იცხოვრებს მის მიერ დათხოვნილი მუშა, რომელიც 30-40 წლის განმავლობაში ამდიდრებდა მას. დათხოვნილი მუშა თავის მოხუცებულობაში უბადრუკად ჰბოგინობს ან შვილების დახმარებით, თუ ისინი ოდნავ მაინც რიგიანად არიან მოწყობილნი, ანდა როგორმე გაჭირვებით გააქვს თავი.

ასე იყო არა მარტო ძველ, მეფის რუსეთში, არამედ ასე ხდება ამჟამადაც მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. რაც უფრო განვითარებულია კაპიტალიზმი, მით უფრო ადრე, ასაკის მიხედვით, აძევებენ მუშას ქარხნიდან, როგორც ექსპლოატაციისათვის ნაკლებად გამოსადეგ საგანს. აი როგორია კაპიტალისტური „უზრუნველყოფა“ მუშისა მოხუცებულობაში. სხვა მდგომარეობაა ჩვენში. ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე კანონის მიხედვით უზრუნველყოფილია მისთვის კუთვნილი პენსიით.

ცხადია, რომ ადამიანთა ფსიქოლოგია კაპიტალისტურ სამყაროში და ჩვენში, ამ ფაქტების მიხედვით, სავსებით სხვადასხვანაირია.

მართალია, ჩვენშიაც მოიპოვებიან „ჭკუის კოლოფები“, რომლებიც, ადარებენ რა ჩვენი მუშის ბინასა და კვებას თუნდაც ამერიკელი მუშის ბინასთან და კვებასთან, ზოგჯერ გაჰყვირიან, რომ ამერიკელი მუშა მეტ ხორცსა სჭამს, მას უკეთესი ბინა აქვსო. მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ამერიკაში მუშათა კლასის ყველაზე ცხოველმომქმედი ნაწილი, როცა მისი ძალღონე გაფურჩქვნილია, იქნებ მეტ შოკოლადსა სჭამდეს, ვიდრე რუსი მუშა, მაგრამ ხომ უნდა ვიანგარიშოთ არა მარტო შოკოლადის ნატეხები, არამედ მთელი ის მატერიალურ-კულტურული მომსახურება, რომელიც აქვთ საბჭოთა კავშირში მუშებსა და მოსამსახურეებს: დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, საბავშვო ბაღები და ბაგები, შემწეობები ორსულობისა და მშობიარობის გამო. ამას უნდა დავუმატოთ უამრავი თეატრალურ-მუსიკალური ორგანიზაციები ქარხნებში, უფასო კონცერტები, ექსკურსიები და ა. შ. და თუ ყოველივე ამას ერთად ვიანგარიშებთ,—რა ვეებერთელა განსხვავებაა სსრ კავშირის მუშათა კლასის უკვე ახლანდელ მდგომარეობასა და რომელიც გნებავთ კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასის მდგომარეობას შორის. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ყველა ჩვენი თეატრი ხალხით გაჭედილია. რას მოწმობს ეს? ეს მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელი მასების მატერიალური დოვლათის თვალსაჩინოდ გადიდებას, მასების კულტურულ მოთხოვნილებათა განსაკუთრებულ ზრდას. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი მშრომელი მასები მსოფლიოში ყველაზე კულტურულნი ხდებიან.

ყოველივე ეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებათა შედეგია. ყოველივე ეს მოუტანა მუშებს საბჭოთა ხელისუფლებამ. საბჭოთა ხელისუფლებამ გახადა მუშათა კლასი მთელ იმ სიმდიდრეთა ბატონ-პატრონად, რომლებიც საბჭოთა კავშირს მოეპოვება. ყოველი დიდი წარმატება მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა განვითარებაში მშრომელი მასების კუთვნილება ხდება.

რაც უფრო განვითარებულია კაპიტალიზმი, მით უფრო ღარიბი, მით უფრო არაუზრუნველყოფილი ხდება მუშა. რაც უფრო მძლავრი და მდიდარი ხდება ჩვენი სამშობლო, მით უფრო შეძლებული და კულტურული ხდება მშრომელი მასების ცხოვრება.

აი რაშია საბჭოთა ხელისუფლების ძალა. აი რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს. აი რატომ არის, რომ მუშათა კლასი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედი, ორგანიზატორი და მისთვის მთავარი მებრძოლია, მთელი თავისი სიმძლავრით მტკიცედ უფრთხილდება და ფხიზლად იცავს თავის დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

(„პრავდა“, 1937 წ. 9 ოქტომბერი).

ბროშურიდან, რომელიც დასაბეჭდად მზადდება.

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის რეზოლუციიდან.

[2] „კრებული სტატისტიკური მონაცემებისა მოსკოვის გუბერნიის შესახებ“. სანიტარული სტატისტიკის განყოფილება, ტ. IV, ნაწილი 1-ლი, გვ. 288.

სოფ. შინდისის (გორის რაიონი) კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“ თავის ბაღებიდან მიიღებს 600 ტონა სხვადასხვა ხარისხის ვაშლს.
სურათზე: კოლმეურნე სტახანოველები ლ. თვალიაშვილი (მარცხნივ) და ბ. თათრიშვილი ვაშლს ჰკრეფენ.
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ფიზიოლოგთა ყრილობის ამოცანები

პროფესორი ი. ბერიტაშვილი.

ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ფიზიოლოგთა ყრილობაზე ჩვეულებრივად იკრიბებიან ისეთი მეცნიერები, რომლებიც მიზნად ისახავენ ორგანიზმში წარმოებული პროცესების შესწავლას და იყენებენ ფიზიოლოგიურ მეთოდებს, ამ მეცნიერთა კატეგორიას ეკუთვნის, ფიზიოლოგებს გარდა, აგრეთვე ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა დიდი ნაწილი. ამიტომაც ფიზიოლოგთა ყრილობას უფრო სრულად ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა ყრილობას უწოდებენ.

ფიზიოლოგთა ყრილობის მოწვევა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამდე არ ხერხდებოდა. მეფის მთავრობას ფიზიოლოგთა შეკავშირებისაც ეშინოდა. პირველი ყრილობა მოწვეულ იქნა 1917 წელს.

თბილისში ფიზიოლოგთა ყრილობის მოწვევის საკითხი ფიზიოლოგთა მე-5 ყრილობაზე დაისვა. მაშინ ერთხმად დაადგინეს, რომ შემდეგი მე-6 ყრილობა თბილისში ყოფილიყო მოწვეული.

საქართველოს მთავრობამ ძოგვცა დასტური და მაშინვე შევუდექით მზადებას.

უწინარეს ყოვლისა დაისვა ფიზიოლოგთა ყრილობის რეორგანიზაციის საკითხი. აქამდე ყრილობაზე იკითხებოდა ინდივიდუალური ხასიათის მოხსენებები, ე. ი. თვითეულ დელეგატს უფლება ჰქონდა წაეკითხა ერთი ან რამდენიმე მოხსენება. მაგრამ შემდეგში, საბჭოთა კავშირში მეცნიერებათა არაჩვეულებრივ ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით, გაიზარდა ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და ფარმაკოლოგიის კადრები. ამის გამო ყოველ ახალ ყრილობაზე ერთი-ორად მეტი დელეგატი იკრიბება. მოხსენებათა რიცხვი ერთიორად მატულობს, ამიტომ ჩვენს წინაშე დაისვა საკავშირო ყრილობისათვის ახალი პრინციპების შემუშავების საკითხი.

უკანასკნელი ყრილობის შემდეგ ფიზიოლოგთა სრულიად - საკავშირო საზოგადოების გამგეობას მე წარვუდგინე პროექტი მომავალი საკავშირო ყრილობის ხასიათისა და მიზნების შესახებ, რომლის მთავარი დებულებანი მდგომარეობენ შემდეგში:

1) ყრილობაზე იკითხება მხოლოდ თვითეული ლაბორატორიის ან ინსტიტუტის შეჯამებული მოხსენება ერთ მთავარ პრობლემაზე.

2) მოხსენებას აკეთებს პრობლემის შესწავლის მთავარი მონაწილე.

3) მოხსენების მიზანია მთელი სკოლის, მიმართულების დისკუსია, რომელიც უნდა ეხებოდეს უმთავრესად კვლევის მთავარ მეთოდებს და თეორიულ მოძღვრებას.

4) მომხსენებლებმა და დელეგატებმა ცდების საშუალებით უნდა გვიჩვენონ მათ მიერ დამუშავებული ახალი კვლევითი მეთოდი და ღირსშესანიშნავი ფაქტები.

5) ამის განსახორციელებლად მოხსენებათა მოკლე შინაარსი წინასწარ უნდა დაიბეჭდოს და დაეგზავნოს დელეგატებს, რომ მათ შეეძლოთ მოემზადონ დისკუსიისათვის.

ჩვენი პროექტი განიხილეს კავშირის ფიზიოლოგთა რესპუბლიკურმა საზოგადოებებმა და მეტწილად მოიწონეს. შემდეგ იგი მიიღო ფიზიოლოგთა სრულიად - საკავშირო საზოგადოების გამგეობის პლენუმმა, რომელიც თბილისში შესდგა.

ჩვენ მოსალოდნელზე გაცილებით მეტი მოხსენება მივიღეთ. გვაქვს 180 შეჯამებული მოხსენება და 200-მდე ინდივიდუალური. აქედან 130 მოხსენება შევარჩიეთ, დროულად დავბეჭდეთ და წინასწარ დავუგზავნეთ ყრილობის 500 დელეგატს.

მოხსენებები გავანაწილეთ ოთხ პლენარულ და 21 სასექციო სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე დავუშვით 3-4 მოხსენება, ხოლო სასექციოზე 5-6 მოხსენება. მოხსენებები პრობლემების მიხედვით დავაჯგუფეთ და თვითეულ მომხსენებელს 30 წუთი მივეცით. ეს დრო უმთავრესად დისკუსიას მოუნდება.

წინასწარი მოლაპარაკებით მრავალი დელეგატი დავითანხმეთ იმაში, რომ მათ მიერ დამუშავებული მეთოდები და ახალი ფაქტები ცდის საშუალებით დაემტკიცებინათ. ყრილობაზე 40-მდე ასეთი ცდა იქნება დაყენებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შენობასა და სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში.

ეს ყრილობა შესაძლებლობას მოგვცემს გავეცნოთ საბჭოთა კავშირის ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და ფარმაკოლოგიის დაწესებულებათა დღევანდელ მდგომარეობას, მათ პრაქტიკულ და თეორიულ მიღწევებს, აგრეთვე მათი მუშაობის ნაკლოვანებებსაც.

ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე რამდენიმე უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული საკითხი. ეს არის ფიზიოლოგიასა, ბიოქიმიასა და ფარმაკოლოგიაში სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა მე-3 ხუთწლედისათვის და ამ დარგებისათვის კადრების მომზადება.

ტყეს ანადგურებენ

(თბილისის გარეუბნის სატყეო მეურნეობა)

თბილისის გარეუბნებში (მცხეთა, წეროვანი, ძეგვი, ნატახტარი, ნიჩბისი, ლისი, კოჯორი, გლდანი და სხვ.) მდებარე ტყეები აღიარებულია დაცვით ტყეებად და მათი ექსპლოატაცია აკრძალულია.

მიუხედავად ამისა, ხალხის მტრებმა სწორედ აქ გაშალეს მავნებლური საქმიანობა, რაც გამოიხატებოდა ტყის განადგურებაში, არამიზნშეწონილი ძირების მასობრივ ჭრაში, სატყეო ფართობის დანაგვიანებაში, ფასების პოლიტიკის უხეშად დარღვევაში. მავნებლობა დღემდე არ არის აღმოფხვრილი. აღვნიშნოთ ფაქტები.

1936 წ. მცხეთაში და მანგლისში ჩამოყალიბდა სატყეო მეურნეობა, რომლის ხელმძღვანელებად ხალხის მტრებმა წარგზავნეს შ. მდივანი და გრ. ჩხაიძე. მათ, ტყის მოვლისა და ახალ ნარგავთა გაშენების ნაცვლად, არსებულ სატყეო ფართობს განადგურება დაუწყეს. მათი განკარგულებით იჭრება დაუნიშნავი ხეები, რაც სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს. მაგალითად, წეროვანის მიდამოებში იჩეხება ისეთი ტყე, რომელსაც ნატახტარის წყლის დებეტზე დიდი მომწესრიგებელი გავლენა აქვს, ხოლო წიწამურში ტყის უსისტემოდ ჩეხვა იწვევს სასმელი წყლის ამოშრობას. არმაზის ციცაბო გორებზე ტყის გაჩეხვის შედეგად მოსალოდნელია მთის ჩამონგრევა, რაც საფრთხეს უქადის რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობასაც.

სატყეო მეურნეობის ეს ვაი-ხელმძღვანელნი ხშირად ამახინჯებენ ფასების პოლიტიკასაც. საჟენი შეშის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 80 მანეთს, სინამდვილეში კი მას 250-300 მანეთად ჰყიდიან.

ძეგვში ახლაც აწყვია მოჭრილი 5000 კუბ. მეტრი შეშა, რომელიც ლპება. გარდა ამისა, ადვილი შესაძლებელია, რომ გამხმარ შეშას ცეცხლი გაუჩნდეს და მთელი ტყე განადგურდეს.

თბილისის საბჭოს სატყეო განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები ადგილებს ვერ უწევენ ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ისინი მოწყვეტილი არიან წარმოებას, გაცნობილი არ არიან ტყეების მდგომარეობას და იქ მომუშავე ადამიანებს არ იცნობენ. ამ „ხელმძღვანელთა“ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარამიკოვი, ტატიშვილი, გ. ჩხაიძე, შ. დვალი, ვ. იმხნელი.

ბარამიკოვი—ეს ხალხის მტრების დახმარებით კოჯორის კურორტის გამგედ დანიშნეს. როცა ბარამიკოვმა კურორტზე ხულიგნობა დაიწყო, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა აღიმაღლეს ხმა მის წინააღმდეგ, რის შემდეგ ბარამიკოვი თბილისის საბჭოს სატყეო განყოფილებაში გადაიყვანეს.

ტატიშვილი — მეტყევე სპეციალისტია, მაგრამ ტყეს ახლოს არ ეკარება. უხეირო და თვალთმაქცური მუშაობისათვის ის რამდენჯერმე იყო სამსახურიდან მოხსნილი და დაპატიმრებულიც.

გრ. ჩხაიძე ლოთი და კომბინატორია. კოჯორში ჩადენილი კომბინაციებისათვის სამუშაოდან მოხსნის შემდეგ ის მამულიამ მცხეთაში მეტყევედ დანიშნა.

ეს ადამიანები თბილისის სატყეო მეურნეობაში დღემდე ეწევიან მავნებლურ საქმიანობას.

საჭიროა ამ მავნებელთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება.

გ. შონია

შ. ახვლედიანი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უდარდელი თავმჯდომარე“

ჩვენი სოფლკორი ჭიათურის რაიონიდან გვაცნობებდა, რომ სოფ. ჭილოვანის ამხ. ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის, თავმჯდომარე პ. ტყემალაძე უხეიროდ მუშაობს, მუშა-პირუტყვები იხოცება, რადგანაც მისი მოვლა-პატრონობისათვის თავს არავინ იწუხებს, კოლმეურნეობის განმტკიცებისადმი, უდარდელობას იჩენენ, რაზედაც ადგილობრივი მშრომელნი სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენო.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ჩხეიძე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით პ. ტყემალაძე მოიხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. ის გაირიცხა პარტიის რიგებიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა აგრეთვე საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის პარტორგი კარპე ტყემალაძე, რომელიც არავითარ ზომებს არ იღებდა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

„დასჯის ღირსია“

ამ სათაურით რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი ტყიბულის რაიონიდან. ავტორი გვწერს: საქ. კავშირგაბმულობის ჭიათურის რაიგანყოფილების გამგის მოადგილე ნიკოლოზ კანდელაკმა სახელმწიფო ქონების მითვისებას მიჰყო ხელი და თანამშრომელთა ხელფასს თვითონვე ისაკუთრებსო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ტყიბულის რაიპროკურორს ამხ. დემეტრაშვილს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ნიკოლოზ კანდელაკი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„ფიგაროს ქორწინება“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში

შალვა ბუაჩიძე

ამ პიესას სახელოვანი ისტორია აქვს. ასორმოცდაათ წელზე მეტია არ შორდება ის სცენას და ყველგან და ყოველთვის სიხალისე, მხიარულება, გულღია სიცილი შეაქვს მაყურებელთა დარბაზში.

„ფიგაროს ქორწინებამ“ თავის დროზე დიდი რევოლუციური როლი ითამაშა. მან ერთგვარად შეაჯამა ახალგაზრდა ბურჟუაზიის ბრძოლა ძირმომპალი ფეოდალურ-მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ საფრანგეთში და ახალი ძალით დაესხა თავს ფეოდალურ არისტოკრატიას. ბომარშეს კომედია ბურჟუაზიული რევოლუციის წინამორბედი შეიქნა. ტყუილად კი არ უწოდა მას ნაპოლეონმა „რევოლუცია მოქმედებაში“.

გრაფის ცოლი — რესპ. დამს. არტ. ვერიკო ანჯაფარიძე, სუზონი — ს. თაყაიშვილი

ფოტო შიხმანისა

ბომარშეს ფსევდონიმით ცნობილმა პიერ ოგიუსტენ კარონმა, მესაათის შვილმა და თვითონაც მესაათემ, თავისი ლიტერატურული კარიერა დაიწყო მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიული საქმოსანის, კომბინატორისა და ავანტურისტის გამოცდილება მიიღო. მან ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ახლად აღმოცენებული საზოგადოებრივი კლასის ზრახვები, თავის ზურგზე განიცადა მონარქიული რეჟიმის მთელი სიმწვავე; ამიტომაც ასეთი სისრულითა და სიძლიერით გამოხატა ახალი კლასის სულისკვეთება, მისი სიცოცხლისწყურვილი, ცხოველმყოფელობა.

„ფიგაროს ქორწინების“ ავტორმა თავის თანამედროვეთ თვალნათლივ დაანახვა საფრანგეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური სიმწიფე, მისი საბრძოლო რევოლუციური გამბედაობა, ბურჟუაზიული რევოლუციის აუცილებლობა. ბომარშე თავისი კომედიის მთავარი პერსონაჟის პირით ამბობდა, რომ თავადაზნაურობამ მოსჭამა თავისი დრო, რომ მან ადგილი უნდა დაუთმოს ცხოვრების ახალ ბატონ-პატრონს, გუშინდელ პლებეის, ხვალინდელ კაპიტალისტ ფიგაროს.

„ფიგაროს ქორწინება“ პოლიტიკური სატირული კომედიის ბრწყინვალე ნიმუშია. სწორედ ამ პოლიტიკური სატირის ხაზმა უზრუნველჰყო მისი არაჩვეულებრივი წარმატება, სწორედ ეს ხაზია (ბომარშეს დრამატურგიულ ოსტატობასთან დაკავშირებული), რომ დღესაც უკვდავს ხდის ამ ნაწარმოებს.

საფრანგეთის იმდროინდელი ცენზურა ყოველნაირად ებრძოდა „ფიგაროს ქორწინებას“. კომედია ხუთი წლის განმავლობაში უძრავად იდო ავტორის პორტფელში და უშედეგოდ ელოდა სცენიურ განსახიერებას. ბოლოს, როცა ბომარშემ გადალახა ყველა დაბრკოლება და პიესამ 1784 წლის 27 აპრილს იხილა რამპის სინათლე, მისი პირველი წარმოდგენა გრანდიოზულ დემონსტრაციად გადაიქცა. ყოველი ფრაზა, რომელიც კი პოლიტიკურ აზრს შეიცავდა, მქუხარე ტაშსა და ოვაციას იწვევდა. პიესა მაყურებლებმა მიიღეს როგორც პროტესტი დესპოტიზმისა და დრომოჭმული პრივილეგიების წინააღმდეგ. „ფიგაროს ქორწინება“ ზედიზედ 68-ჯერ დაიდგა და ავტორს, გუშინდელ მესაათესა და საქმოსანს, ნამდვილი პოლიტიკური ტრიბუნის სახელი მოუხვეჭა.

აქვს თუ არა გამართლება „ფიგაროს ქორწინების“ დადგმას საბჭოთა სცენაზე? უთუოდ აქვს. პიესა, გარდა იმისა, რომ სწორად ასახავს კლასობრივი ბრძოლის განვლილ ეტაპს, წმინდა დრამატურგიული ოსტატობის მხრივაც სანიმუშოა. მის სატირას დღესაც არ დაუკარგავს სიმახვილე. პიესა ცოცხლად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა ცხოველმყოფელი ოპტიმიზმით გამსჭვალული იყო ბურჟუაზიული კლასი, ამჟამად ძირმომპალი, თავისი ჩასახვის განთიადზე.

„ფიგაროს ქორწინება“ მდგომარეობათა კომედიის უჭკნობი ნიმუშია. ამ მხრივ მას შეიძლება, ბადალიც კი არ მოეპოვებოდეს ფრანგულ დრამატურგიაში. მისი ინტრიგის ხლართი აკვირვებს მაყურებელს დრამატურგიული ოსტატობით. მოქმედება ვითარდება სწრაფად და დინამიკურად. დიალოგი ხომ ნამდვილი პაექრობაა სიტყვისა და მოსწრებული გამოთქმისა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დიდი სიყვარულით მიუდგა კლასიკური დრამატურგიის ამ უკვდავი ნაწარმოების გასცენიურებას. რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილის წინაშე რთული ამოცანა იდგა: მას უნდა შეექმნა იდეურად მახვილი, თანაც მსუბუქი, გამჭვირვალე სპექტაკლი რომელშიაც მსახიობის სიტყვა და ჟესტი ორგანულად დაკავშირებული იქნებოდა ერთმანეთთან.

ცნობილია პუშკინის აზრი „ფიგაროს ქორწინებაზე“. სალიერის ის შემდეგი სიტყვებით ანუგეშებინებს დაღვრემილ მოცარტს:

> ...Бомарше говаривал мне:
> «Слушай, брат Сальери,
> Как мысли черные к тебе придут,
> Откупори шампанского бутылку,
> Иль перечти «Женитьбу Фигаро».

მარჯანიშვილის თეატრის „ფიგაროს ქორწინება“ ნიჭიერად შესრულებული სპექტაკლია. როცა ამ წარმოდგენას უყურებ, უნებლიეთ ღრმა პატივისცემით გაიმსჭვალები რეჟისორისადმი, რომელსაც ესოდენი პედაგოგიური მუშაობა გაუწევია მსახიობებთან და ასე ზუსტად დაუმუშავებია კომედიის მომქმედ პირთა ხასიათები. პირდაპირ უნდა ვთქვათ: ვასო ყუშიტაშვილს ამის ფასი ჯერ არაფერი მოუცია. „ფიგაროს ქორწინება“ მისი პირველი სერიოზული ნამუშევარია, რომელიც უდავო ნიჭით, საქმის ცოდნით და მხატვრული გემოვნებით არის აღბეჭდილი.

რეჟისორს ძალიან მკვეთრად გაუხსნია მსახიობების წინაშე პიესის თეატრალური ბუნება, სწორად გაუნაწილებია მახვილები. სპექტაკლის იდეური სისავსე, სწორი ისტორიული კონცეპცია, მკაფიო სახეები, ცხოვრების სიმართლე,—აი ის, რაც იტაცებს მაყურებელს ვ. ყუშიტაშვილის ნამუშევარში.

რეჟისორის განზრახვა მიზანს ვერ მიაღწევდა, რომ მას ერთგული დამხმარეები არ ეპოვა მხატვრების ელ. ახვლედიანისა და ნ. ყაზბეგის სახით. სპექტაკლის გაფორმებაც ისეთივე ფერადოვანი, მსუბუქი და გამჭვირვალეა, როგორც თვით პიესა. მშვენიერი კოსტუმები, ლამაზი დეკორაციები ეშხს ჰმატებენ სპექტაკლს და მკაფიო მხატვრულ ფორმას აძლევენ მას.

კლასიკური კომედია კერძოდ „ფიგაროს ქორწინება“ შემსრულებელთა ძლიერ შემადგენლობას მოითხოვს. ასეთი ძალები მარჯანიშვილის თეატრს აღმოაჩნდა. უპირველეს ყოვლისა ესენი არიან რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, შ. გომელაური, კ. კვანტალიანი.

პიესაში ორი ცენტრალური როლია. ესენია ფიგარო და სუზონი. ფიგაროს თამაშობს ვასო გოძიაშვილი. ის კარგად უსვამს ხაზს ფიგაროს სიახალგაზრდავეს, შეუპოვარ ხასიათს, ესპანურ სიფიცხეს. ის სწრაფია, მოქნილი, ყუმბარასავით ისვრის მწარე რეპლიკებს. მსახიობს სწორი ტონი აქვს აღებული და დიალოგი მიჰყავს იმ „მოცეკვავე“ ტემპით, ურომლისოდაც ბომარშე ჰკარგავს მიმზიდველობას.

სისხლსავსე ხალხური იუმორით, უბრალოებით, ამავე დროს თეატრალური გრაციით არის აღსავსე ს. თაყაიშვილის (სუზონი) თამაში. მას მიჰყავს პიესის მთელი ინტრიგა. მისი ხუმრობა, დაცინვა, მთელი ასორტიმენტი სასიყვარულო ხრიკებისა და ოინებისა მსუბუქი და ხალისიანია. სუზონის ფიცხი და ცუღლუტი ხასიათი კარგად არის ნაჩვენები მსახიობის მიერ.

დიდი შინაგანი სილამაზითა და მწარე ირონიით თამაშობს გრაფის ცოლს ვ. ანჯაფარიძე. სცენაზე მოქმედებს ახალგაზრდა ლამაზი ქალი. მისი მიხვრა-მოხვრა მიმზიდველია, მისი სიტყვები გულის სიღრმეში ჩამწვდომი. მასში არის ადამიანური სინაზე, უბრალოება, გულწრფელობა. მაგრამ ამასთან ერთად დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ვ. ანჯაფარიძის თამაშში ირონიულ ღიმილს, მწარე დაცინვას. რაც უფრო გულწრფელი და ადამიანურია მისი გმირი, მით უფრო სასაცილოა მისი მდგომარეობა მოტყუებული ცოლისა და მომაკვდავი არისტოკრატიის წარმომადგენლისა.

ფიგარო — ვ. გოძიაშვილი

ფოტო შიხმანისა

ყოველმხრივ დადებითი შთაბეჭდილება დასტოვა შ. გომელაურმა გრაფის როლში. უქნარა არისტოკრატის პარაზიტული ბუნება კარგად არის გახსნილი მსახიობის მიერ.

კ. კვანტალიანის მკაფიო კომედიურმა ნიჭმა კვლავ იელვა ქერუბინოს პატარა როლში. გარყვნილი ბიჭი, რომელიც მზად არის ყოველგვარ კაბას გამოუდგეს, ოსტატურად აქვს დახასიათებული მსახიობს.

სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს შევჩერდეთ დანარჩენ შემსრულებლებზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველა ისინი (რესპ. სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე, დამს. არტ. ტასო აბაშიძე, მ. სულთანიშვილი, ი. გვინჩიძე, შ. პირველი, ვ. ლეჟავა) ხელს უწყობენ სპექტაკლის კომედიური ხაზის განვითარებას.

ჩვენის აზრით, რიგიანად ვერ არის შერჩეული მუსიკა (ავტორი ზ. კაცმანი), განსაკუთრებით საცეკვაო ნომერი. თვით ცეკვა ფრიად დაბალი ხარისხისაა (ქორეოგრაფი გორსკი), ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამის გაკეთება არც ისე ძნელი იყო. ეს ნაკლი თეატრმა უნდა გამოასწოროს.

„ფიგაროს ქორწინებას“ ხალისით ნახავს ჩვენი მაყურებელი. სპექტაკლის ცხოველმყოფელი ტონი, ნიჭიერად შესრულებული დეკორაციები, მსახიობთა მოხდენილი თამაში, მაყურებელთა მხიარული სიცილი, — ყველაფერი ეს განსაკუთრებულ მიმზიდველობას აძლევს სპექტაკლს და მაყურებლის ღრმა სიმპატიას იწვევს.

მოსამართლე — რესპ. სახ. არტ. ნიკო გოცირიძე, ბაზილიო — ი. გვინჩიძე.

ფოტო შიხმანისა.

გამოწვევას ვღებულობთ

მარჯანიშვილის სახ. თეატრის კოლექტივის პასუხი გრიბოედოვის სახ. თეატრის კოლექტივის წერილზე

სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავის მოახლოვებასთან დაკავშირებით, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა აზვირთდა. შრომის მაღალი ნაყოფიერების ლაშქრობაში ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკი ჩაება. თავიანთ თავდადებას, უსაზღვრო ერთგულებას და სიყვარულს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დიდი სტალინისადმი საბჭოთა ხელოვნების მუშაკებიც გამოხატავენ შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღებით.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი მოუთმენლად ელოდა დრამატურგებისაგან ისეთ პიესას, რომლითაც ჩვენ შევძლო აღგვენიშნა დიადი ოქტომბრის ოცი წლისთავი. კოლექტივმა დაგვიანებით მიიღო დრამატურგ დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, რომელშიაც ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსენების—ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის — საფუძველზე მოცემულია ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის ხელმძღვანელი როლი ამიერ-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. კოლექტივმა ერთსულოვნად გადასწყვიტა „ნაპერწკლის“ სანიმუშო განსახიერებით აღენიშნოს დიადი იუბილე. კოლექტივის განკარგულებაში ცოტა დრო დარჩა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დამკვრელ მუშაობას გავაჩაღებთ იმისათვის, რომ თბილისის მშრომელებს ვუჩვენოთ ამაღელვებელი, რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სპექტაკლი.

ჩვენ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი, ვებმებით წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვღებულობთ გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივის გამოწვევას, სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ რუსთაველის სახელობის თეატრს და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. საიუბილეო სპექტაკლს „ნაპერწკლიდან“ ვუჩვენებთ თბილისის მშრომელებს 7 ნოემბერს. 25 ოქტომბრისათვის დავამთავრებთ ყველა სამუშაოს, რაც დაკავშირებულია სპექტაკლის გაფორმებასთან, ხოლო სპექტაკლს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ჩავაბარებთ 3 ნოემბერს.
2. მოფიქრებული, დაკარწახებული მუშაობით შევქმნით რეალისტურ სპექტაკლს და ჩამოვაყალიბებთ მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი გენიოსების—ლენინისა და სტალინის სახეებს.
3. ერთსულოვნად ვიბრძოლებთ თეატრალური ტექნიკის ათვისებისა და ამაღლებისათვის, სპექტაკლების მაღალი ხარისხისათვის.
4. ღრმად შევისწავლით სტალინურ კონსტიტუციას და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას, ყველანი გავხდებით ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების აგიტატორები და პროპაგანდისტები.
5. თეატრის კოლექტივი ვალდებულებას ღებულობს თბილისის მოწინავე მუშა-სტახანოველებს, წითელარმიელებს რიგს გარეშე უჩვენოს სპექტაკლი და მოაწყოს მისი განხილვა. ამასთან ერთად მომსახურებას გაუწევთ საესტრადო პროგრამით საწარმოებსა და წითელი არმიის ნაწილებს.
6. გავაძლიერებთ შემტევით რევოლუციურ სიფხიზლეს, როგორც ამას დიდი სტალინი გვასწავლის. როგორც ამას ამხანაგი ლავრენტი ბერია გვასწავლის; ვისწავლით კლასობრივი მტრის გამოცნობას, გავშლით ბოლშევიკურ კრიტიკას და თვითკრიტიკას, ჩვენს რიგებში არ დავუშვებთ ხალხის მტრებს, დივერსანტებს, მავნებლებს, კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ბუხარინელებს.
7. კოლექტივი სთხოვს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და გაზეთ „კომუნისტს“ იყვნენ არბიტრად.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, საამური ცხოვრების შემქმნელს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკებისა და ქართველი ხალხის საყვარელ ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას!

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი.

ლიტერატურა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის

დღითიდღე იზრდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების სამზადისი. განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება ბროშურებზე, სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობამ უკვე გამოუშვა: ა. იაკოვლევის მოხსენება „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ“ და „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 25.000 ტირაჟით. ცალკე გამოვიდა აგრეთვე „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 135.000 ტირაჟით და ამ დღეებში დამატებით გამოვა 80.000 ეგზემპლარი.

სომხურ ენაზე გამოვიდა „დებულება უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 13.000 ტირაჟით და ამ დღეებში გამოვა კიდევ 3.000 ცალი. იგივე გამოვიდა აზერბეიჯანულ ენაზე 13.000 ტირაჟით.

პარტგამომცემლობამ გამოსცა აგრეთვე ბროშურები: ა. ვიშინსკის — „ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონი“ (ტირაჟი 25.000), მ. კალინინის — „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები“ (10.000 ეგზემპლარი).

გამოსაცემად მზადდება აგრეთვე სტატისტიკური ცნობარი—„რა იყო ჩვენი ქვეყანა წარსულში და რა გახდა ახლა“ 10.000 ტირაჟით; მ. კალინინი — „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთ“ (10.000 ტირაჟით) და ა. ვიშინსკი — „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება“ (კითხვა პასუხი) 15.000 ეგზემპლარი.

თბილისი—ლენინგრადი

ფეხბურთის მატჩი საკავშირო პირველობაზე

დღეს, 12 ოქტომბერს, ფეხბურთის საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული დღეა. მოსკოვში [illegible] ქალაქის გუნდები „დინამო“ და „მეტალურგი“, ხოლო თბილისში—ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

მატჩი ლენინგრადელებთან, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო პირველობის გათამაშებაში მათ მაინცდამაინც თვალსაჩინო წარმატებები არა აქვთ, დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. მარტო ის ფაქტი, რომ ლენინგრადელებმა ყაიმით დაამთავრეს შეჯიბრება პირველობის ლიდერებთან—მოსკოვის და კიევის „დინამოსთან“ და „სპარტაკთან“, მათ საკმაო სიძლიერეს მოწმობს.

აღსანიშნავია, რომ ლენინგრადის „დინამოს“ ჩატარებული შეჯიბრებებიდან ცხრა ყაიმი აქვს.

თბილისის „დინამო“ ამ შეჯიბრებაში თავისი ძირითადი შემადგენლობით გამოდის.

ბოტვინიკი—ლევენფიში

მესამე პარტია

10 ოქტომბერს დამთავრდა ბოტვინიკ-ლევენფიშის მატჩის მესამე პარტია. ბოტვინიკი ბევრს ეცადა მუდმივი ქიშით ყაიმისთვის მიეღწია, მაგრამ ამაოდ. ლევენფიშმა გამონახა ქიშისგან თავდაცვის ერთადერთი სწორი გზა და გაიმარჯვა.

მატჩის მდგომარეობა ასეთია — 2:1 ლევენფიშის სასარგებლოდ.

გუშინ, 11 ოქტომბერს, გათამაშდა მეოთხე პარტია. თეთრებით თამაშობდა ბოტვინიკი.

შემთხვევები

— **ტელეფონის კაბელის ქურდები.** მილიციამ შეიპყრო ქურდთა ბრბო, რომელმაც 11 სექტემბერს ტელეფონის ავტომატური სადგურის საწყობიდან მოიპარა 400 კლგ. ტელეფონის ტყვიის კაბელი. ბრბოში შედიოდნენ: ო. საპუჯანი, ა. ს. უსუბოვი, ი. ა. ოსიპოვი, გ. გ. პოლოსოვი, ს. ა. მელქონიანი და გ. ი. ნაზოევი.

ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულში. გამოირკვა, რომ მოპარული კაბელი მათ გადაადნეს ტყვიის ნაჭრებად და მიჰყიდეს მოპარული ნივთების შემსყიდველებს გ. გ. მანუკოვსა (კარუსელის ქ. № 35) და ა. ბ. ტატიევს (პლეხანოვის პროსპ. № 38). ტატიევი დაპატიმრებულია.

ამ დღეებში საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მიხეილ გიორგის-ძე ჩიქოვანს და ვალერიან ნიკოლოზის-ძე სიხარულიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი 27).

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ელიზბარ მათეს-ძე ბაკურაძეს (ამბროლაურის რაიონიდან), იპოლიტე ესაკიას (ცხაკაიას რაიონიდან) და გიორგი ლავრენტის-ძე მიქაძეს (ბათუმი) სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

ალ. კობახიძე

ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ

ლენინგრადში ქართული ხელნაწერები ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ყოფ. სააზიო მუზეუმი) და სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ხელნაწერები შეგროვილია წარსული საუკუნის მანძილზე. 1847 წელს თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846) გარდაცვალების შემდეგ, მისი ძვირფასი ქართული ბიბლიოთეკა შეიძინა მეცნიერებათა აკადემიამ. ამ თარიღამდე ქართული ხელნაწერები 51 სათაურამდე თუ მოიპოვებოდა. შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა ხარსის წიგნები და ხელნაწერები ქართულ ენაზე იოანე ბატონიშვილის შვილიშვილისაგან და საბინინის ქართული ხელნაწერების კოლექცია. აკად. ბროსეს გარდაცვალების შემდეგ მანვე შეიძინა მისი მეცნიერული არქივი და ხელნაწერები.

ლენინგრადის ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი თორმეტი წლის წინათ სპეციალური კომისიის შერჩევით გადაეცა საბჭოთა საქართველოს.

საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარეობს ქართველოლოგიური მუშაობა, მაგრამ დიდი ნაყოფი ამ მუშაობამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოიღო.

ამჟამად ლენინგრადის ხელნაწერთა განყოფილებებში „ვეფხის-ტყაოსნის“ ცხრა ნუსხაა. ერთი მათგანი, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო ინსტიტუტს ეკუთვნოდა, (ვორონცოვის არქივი) 1935 წელს გადმოტანილ იქნა საქართველოში.

„ვეფხის-ტყაოსნის“ თარიღიან ნუსხათა შორის ყველა ადრინდელი ხელნაწერი 1774 წელს ეკუთვნის. რაც შეეხება რედაქციებს, თითქმის ყველა ნუსხა 1712 წელს თბილისში გამოცემული პირველი ნაბეჭდი, ე. წ. ვახტანგისეული „ვეფხის-ტყაოსნის“ რედაქციას უდგება, არცერთ ნუსხას ილუსტრაცია არა აქვს დართული. გარდა სამიოდე ხელნაწერისა, არცერთი არაა შესრულებული ნამდვილი პროფესიონალი კალიგრაფის ხელით. 1774 წლის ერთერთი ხელნაწერი ცუდად ნაწერია, ორი ნუსხა კი ბროსეს გაკრული ხელითაა დაწერილი და წარმოადგენს მეცნიერის სამუშაო ეგზემპლარებს. სამ ნუსხას შემდეგი ნაკლი აქვს: ან დასაწყისი აკლია, ან დაბოლოვება.

ორივე ნუსხა ბროსეს არქივიდან, დღემდე გამოქვეყნებულ მასალებთან შედარებით, საკმაო ვრცელ ნუსხებად უნდა ჩაითვალოს. ერთი მათგანი გადაწერილია 1823 წელს იმერეთის დედოფლის ანას ბრძანებით ასლან საფიროვის მიერ პეტერბურგში და, ჩვეულებრივი ვახტანგისეული რედაქციის გარდა, შეიცავს დამატებით 21 თავს, 355 ტაეპისაგან და 1420 ლექსისაგან შემდგარს. ამავე ხელნაწერში პეტრე ქებაძის ხელით ცალკეა დართული 52 ტაეპი, რომლებიც მას თითქოს „ვეფხის-ტყაოსნის“ თამარ მეფის დროინდელი ხელნაწერიდან გამოუყენებია, მაგრამ აღნიშნული არა აქვს წყარო.

ხსენებული კოლექციის მეორე ნუსხა, გარდა დამატებისა, საყურადღებოა იმითაც, რომ გადმოწერილია 1828 წელს ბროსეს მიერ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის „ვეფხის-ტყაოსნის“ ნუსხიდან. ეს ნუსხა არაა გადმოწერილი ვახტანგის ნაბეჭდი (1712 წ.) „ვეფხის-ტყაოსნიდან“, ამ ნუსხის გადამწერს — ბროსეს გადაწერის დროს თავის შრომის აშიებზე დაურთავს იმავე პარიზის ბიბლიოთეკის მეორე ვეფხის-ტყაოსნის ვარიანტი. ასეთი შრომა ბროსეს 1832 წელს ხელმეორედ წამოუწყია პარიზშივე. ნუსხა სულ რაღაც 288 ტაეპისაგან შესდგება. ამ რედაქციის ტექსტიც უფრო ვრცელია, ვიდრე ვახტანგის გამოცემისა.

ბროსეს ხელნაწერის განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ ქართულ ტექსტს პარალელურად მისდევს ზუსტი პროზული თარგმანი ვეფხის-ტყაოსნისა, ბროსეს მიერ შესრულებული.

დანარჩენ ნუსხებზე უნდა ითქვას შემდეგი: ერთი უთარიღოა და გადაწერილი XVIII საუკუნეში. მეორე გადაწერილია (1811 წ.) ლამაზი ხელით იოანე იალღუძის მიერ, მესამე (1839 წ.) — აგრეთვე ლამაზი ხელით სიმონა ტაბიძის მიერ და 317 ტაეპისაგან შესდგება. სამივე ნუსხა გადაწერილია ვახტანგის რედაქციიდან. „ვეფხის-ტყაოსნის“ ნუსხათა რიცხვში საჯარო ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ერთი ნუსხა შედის საბინინის კოლექციიდან. გადაწერილია იგი კარგად, ტექსტის ბოლოში სხვა ხელით მიწერილია: „ღმერთო შეიწყალე ამისი დამწერი კნიაზ დიმიტრი საკაძე“. მაგრამ ეს კიდევ გამოსარკვევია.

დღემდე ჩვენში ცნობილია „ვეფხის-ტყაოსნის“ 1712 წლის პირველი გამოცემიდან ათიოდე ეგზემპლარი. გამოცემის ასეთ სიმცირეში უმრავლესობა ბრალს ანტონ კათალიკოსს სდებს. ლენინგრადის მასალები კი ანტონ კათალიკოსზე არაფერს გვეუბნება. დამნაშავედ უფრო აღა-მაჰმად-ხანს ასახელებენ: „მრავალნი წიგნნი დაიკარგნენ ჟამსა ტფილისის აღებისა და დაწვისა 1795 წელსა, ხოჯა აღა-მაჰმად-ხანისაგან“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ორი ეგზემპლარი მოთავსებულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ლენინგრადში მესამე ცალიც უნდა ინახებოდეს საჯარო ბიბლიოთეკაში. „ვეფხის-ტყაოსნის“ 1841 წ. მეორე გამოცემას ჩვეულებრივად ბროსეს გამოცემას უწოდებენ; ამ გამოცემის 2 ეგზემპლარი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება; ერთი ყდაშია ჩასმული საზიო მუზეუმის მიერ და მეორე უყდოდ არის დაცული, ყდაში ჩასმული ეგზემპლარი იშვიათია და, ვგონებ, უნიკუმი.

წინასიტყვაობას წინ ამ წიგნს დართული აქვს ქართული და რუსული „პროგრამმა“, საიდანაც სჩანს, რომ ორმოციან წლებში „ვეფხის-ტყაოსანი“ უკვე იყიდებოდა. ლენინგრადის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემა ლითოგრაფიულად ბროსეს ჯერ კიდევ 1834 წელს განუზრახავს პარიზში ყოფნის დროს და სანიმუშო ფურცელი თეიმურაზ ბატონიშვილისათვისაც კი გამოუგზავნია, მაგრამ უკანასკნელს არ ურჩევია ასეთი გამოცემა. საქმე შეჩერებულა 1837 წლამდე, ამ დროს ბროსე აირჩიეს აკადემიის წევრად, მისი ქართული ენის მასწავლებელი თეიმურაზ ბატონიშვილი კი — საპატიო წევრად. ამავე დროს შემდგარა „ვეფხის-ტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიაც ბროსეს, ზაქ. ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინიშვილის შემადგენლობით. მოსკოვში მცხოვრებ გიორგი ავალიშვილისათვის მათ დაუვალებიათ გამოსაცემი ტექსტის დამზადება. უკანასკნელს აუღია ვახტანგის ნაბეჭდი პირველი გამოცემის საკუთარი ეგზემპლარი. ტექსტი გადაუმუშავებია დაახლოვებით ისე, როგორც 1841 წელს გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანია“, და გამოუგზავნია ზაქარია ფალავანდიშვილისათვის წერილითურთ, რომელშიაც დაწვრილებითაა აღნიშნული ამ შესწორების ისტორია. ამ ტექსტისათვის შემდეგ დაურთავთ პეტრე ქებაძის მიერ ამოკრეფილი 52 ტაეპი. საარქივო მასალებიდან სჩანს, რომ მეორე გამოცემის ტირაჟს 1.200 ეგზემპლარი შეადგენდა. შენახულია იმ ხარჯთა ანგარიშებიც, რაც ბროსეს გაუწევია ამ საკუთარ ხარჯზე გამოცემული „ვეფხის-ტყაოსნისათვის“. საარქივო მასალები სრულად აშუქებენ იმ საკითხსაც, რომ 1841 წლის გამოცემის ის საბოლოო ცხრა გალექსილი ტაეპი („ღმერთო ადიდე ხელმწიფე, იმპერატორი ჩვენია“...), რაც ამ გამოცემას აქვს დართული, დაუწერია არა ბროსეს, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილს და ამ ტაეპთა ზოგიერთი ულაზათო ლექსი ბროსეს მიერ თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსთა რედაქციის შესწორების ნიადაგზე აღმოცენებულა.

◆

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

14/X	წარმოდგენა 10. ოტელო
15/X	წარმოდგენა 11. ალკაზარ
16/X	წარმოდგენა 12. ალკაზარ

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

12/X წარმ. № 9	სამანიშვილის დედინაცვალი
14/X წარმ. № 10	ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ. მოზრდილები 16 წლამდე არ დაიშვებიან. მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ მოწმობა.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვანი ფილმი ალმასების ხეობა დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	საზაფხ. შენ. პეტრე 1-ლი დასაწყ. 8-15, საზამთ. შენ. ალმასების ხეობა დ. 6 ს.
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზაფხ. შენ. დარიკო დასაწყ. 8-15, საზამთ. შენ. ჩაპაევი დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი პეტრე I-ლი დასაწ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი ფილმი ალმასების ხეობა დასაწყისი 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	ხმოვანი ფილმი ჩრდილოეთის პოლუსზე დასაწყ. 8 ს.
კომინტერნი ბრძოლის ქ., № 222	ხმოვანი ფილმი 1-ლი ოცეული დასაწყ. 8 ს.
ახალი ამბები	ხმოვ. ჟურნ. № 40, ბელადის სახელობის ქალაქი
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი უჩინარი ადამიანი დასაწყ. 7 ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
12 ოქტომბრიდან დილის 11 საათიდან საღამოს 9 საათამდე
გაიცემა მუდმივი ადგილების
15-წარმოდგენიანი
ერთდროული ბილეთები.
3—3 50

საქმარაგგასაღების ლითონ-ტექნიკური კანტორა.
ანხორციელებს რა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—აფხაზეთისა და აჭარის ჩათვლით—არსებულ ყველა საწარმოთა და მშენებლობათა (დამოუკიდებლად იმისა, თუ რა დაქვემდებარებისა არიან ისინი) მომარაგებას

ბამბის, აქლემის ბეწვის, ბელტინგისა და ტყავის თასმებით, სთხოვს ამ საწარმოებს წარმოადგინონ არა უგვიანეს 10 ნოემბრისა თავისი განაცხადები ზემოაღნიშნული თასმების საჭირო რაოდენობაზე—თასმების სიგანისა და თვითეული ზომის საერთო სიგრძის ჩვენებით.

კანტორა აფრთხილებს საწარმოებს, რომ ტყავის თასმები გამოიყოფა მხოლოდ განსაკუთრებით აუცილებელი შემთხვევებისათვის ფრიად მცირე რაოდენობით.

საქმარაგგასაღების ლითონ-ტექნიკური
კანტორა.
1258 2-2

1937 წლის 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში, ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე ეთნოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **რუსუდან ხარაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე:
„დიდი ოჯახის გადმონაშთი სვანეთში“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. ს. ჯანაშია და დოც. გ. ჩიტაია.

1249
თსუ რექტორი მ. კიკნაძე.

მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სახელმწიფო შინაგანი სესხის
მოგებათა გათამაშების
მეოთხე ტირაჟი
შესდგება ა. წ. 25 ოქტომბერს ქალაქ ალმა-ატაში (ყაზახსტანის სსრ)
გათამაშებული იქნება 1 მილიონი მოგება 164.920 ათასი მანეთის თანხით. მეხუთე ტირაჟი გათამაშდება ა. წ. 25 დეკემბერს დონის ოლქში, ქ. ვოროშილოვგრადში.
საქ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი ცენტრალური კომისია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—8351